



619
1974
ეროვნული
ბიბლიოთეკა





# დროშა

მაისი
№ 5
1974 წ.



ეროვნული ბიბლიოთეკა

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# დროშა

№ 5 (449) მაისი, 1974 წ.

გამოცემის წელი 51-ე.

ყოველთვიური საზოგადოებრივ-პოლიტიკური და სალიტერატურო-სამხატვრო ჟურნალი

საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობა

© „დროშა“. 1974







მთავარი რედაქტორი რევაზ მარგიანი.

სარედაქციო კოლეგია: გ. ბახტაძე, თ. გოგოლაძე (პ/მგ. მდივანი), ს. დურმიშიძე, ლ. კალანდაძე, ვ. კიკნაძე, ა. კუსრაშვილი, ა. მინდაძე, გ. ნატროშვილი, დ. ნოდია (მხატვარი-რედაქტორი), ი. ტაბაღუა, უ. ჯაფარიძე.

ტექრედაქტორი დ. სეფიაშვილი.
კორექტორი ტ. თაბორიძე.

ეროვნული ბიბლიოთეკა



12410

# ენგურჰესზე

მანქანამ ზუგდიდ-სვანეთის გზიდან ხელმარჯვნივ აუხვია, იქ, სადაც მაგანას ბაგირებიანი ხიდია ჩამოკიდებული.

ვაკე, ანუ ზენი, როგორც ჭვარელები უწოდებენ მას, შორიდანვე გამოჩნდა. გამოჩნდა არა ისე, როგორც ჩემს ბავშვობაში მინახავს: ფერდობებზე შეფენილი თხის ფარებით, წნელის ღობეებიანი ეზოებით, ხუხულა სახლებით, არამედ მრავალსართულიანი ნაგებობებით, ავტობუსისა და რკინიგზის კოხტა სადგურებით, ფართო ქუჩებით...

ენგურჰესის მშენებლობის სამმართველოს უფროსი მიხეილ ცისკარიშვილი, ბედად, ადგილზე დამხვდა.

გავეცანით ერთმანეთს, გავისაუბრეთ. მშენებლობის თავკაცი გატაცებით მიყვება აქაურ ამბებს, მაგრამ, როგორც იტყვიან, ყურით მოსმენილს, თვალით ნანახი სჯობსო. გამოვდივართ გარეთ და ჯერ კაშხალმშენისა და დამხმარე საწარმოთა გაერთიანების ობიექტებს ვათვალიერებთ, შემდეგ კი ძალოვანი კვანძის სამმართველოსაკენ მივეშურებით...

აქ, ენგურჰესის ამ გიგანტურ მშენებლობაზე, ერთმანეთის მხარდამხარ შრომობენ ქართველები და რუსები, უკრაინელები და აზერბაიჯანელები, ყაზახები და ბერძნები... გაერთიანებული ძალით მათ ერთხელ უკვე დაამარცხეს ენგური — შმა-



საქ. სსრ კ. მარქსის
სახ. სახ. რესპუბ.
ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

გი მდინარე საგანგებოდ გაჭრილ კალაპოტში გადააგდეს და კაშხალის ჩასასხმელი ქვაბულები გაათავისუფლეს.

რთულმა გეოლოგიურმა პირობებმა მუშაობა შეაფერხა. საჭირო გახდა გაცილებით იმაზე მეტი შრომატევადი სამუშაოების შესრულება, რაც წინასწარ იყო გათვალისწინებული. ამ გარემოებამ, ცხადია, გარკვეული პერიოდით შეაფერხა კასკადის მწყობრში ჩაყენება.

დაბრკოლება სწრაფად უნდა დაეძლიათ. სპეციალისტებმა უმოკლეს ხანში შეიმუშავეს ახალი პროექტი, რომლის განხორციელება შესაძლებელს ხდიდა რეჩხის ვარდნილ ჰესებს, გალის პირველ, მეორე და მესამე ჰიდროელექტროსადგურებს კაშხალის მწყობრში ჩადგომამდე მიეღოთ ენგურის წყალი.

ჰიდროელექტროსადგურებისათვის წყლის მიწოდება საბერიო-ლიასთან აგებული მომცრო კაშხალის საშუალებით განხორციელდება.

ყველგან, საითაც გაიხედავთ, შემოქმედებითი შრომაა გაჩაღებული. გუგუნებენ ბულდოზერები, მანქანები უწყვეტ ნაკადად ეზიდებიან ბეტონს.

შორს კი, თითქოს ჰაერში ჩამოუკიდიათო, ისევ ისე იტაცებს თვალს მაგანას ძველი, ბაგირებიანი ხიდი.

საოცარი ქმნილებაა მაგანას ხიდი.

„ბრუკლინის ხიდი მინახავს, ნევის საოცრება მინახავს, მაგრამ ასეთი, ობობას ქსელივით ბაგირებზე დაკიდული ხიდი — არსად მინახავს!“ — აღტაცებით შესძახა თურმე მწერალმა აკაკი ბელიაშვილმა.

ძველი ხიდის გვერდით. რკინა-ბეტონის ახალი ხიდია გაჭიმული, რომელზეც მძიმეწონიანი მანქანები გადადიან.

ხიდებს ქვეშ მიჩხრიალებს კალმახებით სავსე მაგანა. ზევით გოროზად ასვეტილან მთები, რომლებსაც ბერძნები ოდესღაც ქვეყნის დასალიერს უწოდებდნენ. ფერდობებზე გზაა გაჭრილი, გზა მაგანას ნაპირ-ნაპირ მიდის ბეჩოსაკენ, შხარასა და თეთნულდის სანახებისაკენ...

* * *

ენგურის კალაპოტთან, სადაც ბეტონის კედელი ამოზიდულა, ვაგონი დგას. ვაგონში კაშხალმშენის სამმართველოს შტაბია მოთავსებული. აი სწორედ აქ გავიცანი კაშხალმშენის სამმართველოს მთავარი ინჟინერი ნოდარ შარტავა.

— ენგურჰესის კაშხალს უსათუოდ უნიკალური უნდა ვუწოდოთ, — მიხსნის მთავარი ინჟინერი, — იგი თავისი სიმაღლით უდიდესია მსოფლიოს თაღოვან კაშხალებს შორის. აბა წარმოიდგინეთ 271 მეტრი სიმაღლის კედელი, რომლის სისქე ძირში 64 მეტრია, თავში კი 10 მეტრი. აი სწორედ ასეთი იქნება ჩვენი უნიკალური ნაგებობა. კაშხალი დააგუბებს ერთ მილიარდ კუბურ მეტრზე მეტ წყალს, რომელიც ხაიშ-მახხანის მთებს შორის შექმნის უდიდეს წყალსაცავს. წლის ბოლოსათვის კაშხალის ტანში 580 ათასამდე კუბური მეტრი ბეტონი გვექნება ჩასხმული.

— შეიძლება თუ არა, რომ კაშხალი დაზიანდეს? — ვეკითხები ნოდარს.

— არ შეიძლება! — ეღიმება ნოდარს. — მშენებლებს ყველაფერი წინასწარ აქვთ გაანგარიშებული. ბეტონს კუმშვადობა ახასიათებს. წყლის დაწოლა წინააღმდეგობას გააძლიერებს, ბეტონი შეიკუმშება და კედლის სიმტკიცე გაორკეცდება.

აქვე შევიტყვე, რომ კედლის დიდი სისქის მიუხედავად, წყალი თურმე მაინც გამოჟონავს კაშხალში. მშენებლებმა ესეც გაითვალისწინეს. კაშხალის ტანში დააყოლეს წყალშემკრები მინიატურული არხები, რომლებიც ერთ დიდ აუზში იყრიან თავს. აუზიდან წყალი გადაიტუმბება ენგურის ძველი ნაკალაპოტარისაკენ. გადატუმბვამდე წყლის



სასადილოში მუშებს გემრიელი კერძებით უმასპინძლდებიან.



კაშხალის მშენებლები.



კაშხალზე ავტომატური წესით ხდება ბეტონის მიწოდება.

ეს მასა გარკვეულ მისიას შეასრულებს — კაშხალთან აშენებულ ჰიდროსააკუმულატორო სადგურს აამუშავებს და პიკის საათებში ელექტროენერგიას მიაწვდის სახალხო მეურნეობას.

მთავარ ინჟინერთან საუბარში გართულმა, მოულოდნელად, მაღალი მთის ქიმზე ჩიტის ტოლა პალოს თავი შევნიშნე.

— აი ამ პალოს გადასცდება კაშხალის სიმაღლე, — მიხსნის ნოდარ შარტავა და მაშინვე დასძენს, — აქედან პალოსა ჰგავს, ახლოს თუ მიხვალთ, დარწმუნდებით, რომ კლდის ქიმზე სპილოს ფეხზე მსხვილი ბოძია ჩასობილი.

* * *

თაღოვანი კაშხალის საპროექტო ჯგუფის ხელმძღვანელი ლევან ჯაყელი დავიხელთე. საჩქარო საქმე არ ჰქონდა და თავაზიანად დამთანხმდა პასუხი გაეცა რამდენიმე შეკითხვაზე.

— პატივცემულო ლევან, როდის დაიწყო ენგურჰესის მშენებლობის დაპროექტება?

— „თბილჰიდროპროექტის" სპეციალისტებმა ენგურჰესის მშენებლობის დაპროექტებას 1957 წელს მოჰკიდეს ხელი. პროექტზე მუშაობდნენ ირაკლი ამირეჯიბი, ალექსანდრე ლოსაბერიძე, სანდრო მენაბდე, გიორგი ჯილაური, სპარტაკ კერესელიძე... 1961 წელს მთლიანად დამთავრდა ტექნიკური ნახაზების გაკეთება, რამდენიმე ხნის შემდეგ კი პირველი ბულდოზერი ამუშავდა ენგურზე.

— თქვენ თაღოვანი კაშხალის დაპროექტების მთავარი ინჟინერი იყავით. გვითხარით, დაესესხეთ რაიმე უცხოელ სპეციალისტებს თუ ორიგინალური ნახაზები შეადგინეთ?

— ჩვენი კაშხალი ორიგინალური ნაგებობაა. თაღოვანი კაშხალი, რა თქმა უნდა, მსოფლიოში ბევრია, მაგრამ ასეთ რთულ გეოლოგიურ პირობებში აშენებული გიგანტური თაღოვანი კაშხალი უნიკალურ ნაგებობად უნდა ჩაითვალოს.

— დღეისათვის კაშხალის ტანში 290 ათას კუბურ მეტრამდე ბეტონია ჩასხმული. შესაძლებელი რომ იყოს ყველაფრის თავიდან დაწყება, როგორ მოიქცეოდით, შესცვლიდით რაიმეს თქვენს პროექტში?

— პროექტი, რომლის მიხედვით კაშხალი შენდება, სწორია, კედელი საიმედოა! დარწმუნებული ვარ, რომ ამას ნათლად დაგვანახებს დრო.

* * *

დამხმარე საწარმოთა გაერთიანების დირექტორს შუქრი ქირიას ბუღალტრებისა და ეკონომისტების დაძახება არ დასჭირვებია — თვითონვე მიკარნახა საჭირო ციფრები.

გაერთიანება ყოველწლიურად თურმე 6,2 მილიონი მანეთის პროდუქციას აძლევს მშენებლებს.

შარშან მწყობრში ჩადგა ახალი მუდმივმოქმედი ბეტონის ქარხანა, რომლის წარმადობა საათში 300 კუბურ მეტრ ბეტონს შეადგენს. ეს ცოტა როდია. კაშხალის შეუფერხებელი მშენებლობისათვის უამრავი ბეტონია საჭირო, ეს ბეტონი კი ახლა იქვე, როგორც იტყვიან, ყურის ძირში აქვთ მშენებლებს.

იმისათვის, რომ ქარხანას უწყვეტ ნაკადად მიაწოდონ ინერტიული მასალა, მშენებლებმა ოთხკილომეტრიანი საბაგირო გზა გაიყვანეს. ინერტიული მასალის გამამდიდრებელი ფაბრიკიდან ახლა ბეტონის ქარხანაში რონოდებით შეუფერხებლად ეზიდებიან საჭირო პროდუქციას.

დამხმარე საწარმოთა გაერთიანებას მოპოვებული წარმატებისა და სოციალისტურ შეჯიბრებაში გამარჯვებისათვის შარშან გადაეცა საქართველოს კომპარტიის ზუგდიდის საქალაქო კომიტეტისა და საქალაქო საბჭოს აღმასკომის გარდამავალი წითელი დროშა.

— საუცხოო ბიჭები მყავს, — გვითხრა გამომშვიდობებისას შუქრი ქირიამ, — ბიჭებს გადაწყვეტილი აქვთ, ხუთწლედის განმსაზღვრელ წელს კიდევ უფრო თავდადებით იშრომონ და არავის დაუთმონ პირველობა. რევაზ თვალაბეიშვილს, გივი ლაკვეხელიანს, იგორ ცხადაიას და სხვებს, იცოდეთ, პირის გატეხვა არ სჩვევიათ, თქვენ და აასრულებენ კიდეც!

* * *

საბერიოსთან მთავრდება კაშხალთან დაწყებული 15-კილომეტრიანი სადერივაციო გვირაბი.

ძალოვანი კვანძის სამმართველოს მთავარ ინჟინერ ივერი მაისურაძესთან ერთად ვათვალიერებთ მიწის სასახლეს. აქ, ენგურჰესის მშენებლობაზე სწორედ ასე უწოდებენ საბერიოს მიწისქვეშა საგენერატორო სადგურს, რომლის სიმაღლე 52 მეტრზე მეტია. საგენერატორო სადგური სამსართულიანია, მისი სიგრძე 127 მეტრს აღწევს.

მიწისქვეშა საგენერატორო სადგური მწყობრში ჩადგომის შემდეგ 1 მილიონ 300 ათასი კილოვატი სიმძლავრისა იქნება. მთლიანად ენგურის ხუთივე ელექტროსადგურის სიმძლავრე 1 მილიონ 600 ათას კილოვატს მიაღწევს, რაც წელიწადში 5 მილიარდ კილოვატსაათ ელექტროენერგიას მოგვცემს.


ეროვნული ბიბლიოთეკა

მართლაც რომ შთამბეჭდავი ციფრებია!

* * *

ერთი კვირა დავყავი ენგურჰესის მშენებლებთან. დღეს კვირაა და საბერიოსკენ გავისეირნებ, მინდა ვნახო, თუ როგორ ატარებენ დასვენების დღეს ენგურჰესის მშენებლები.

ერისწყლის ხეობას ფეხით ჩავყევი გალის წყალსაცავისაკენ. აქ უამრავ ხალხს მოუყრია თავი. სანაპიროზე სეირნობენ გოგონები და ბიჭები, კაცები და ქალები. ზოგი ქვაყრილთან იჯდა და ბამბუკის ჯოხით თევზის ჭერით ერთობოდა.

ბევრი მათგანი ვიცანი. აი, ის მაღალი კაცი — ბიჭიკო ჯახაიაა — საბერიოს პროფტექნიკური სასწავლებლის დირექტორი. აქვე არიან მოწინავე მშენებლები: ივანე ზაიცი, ფილიპე ლუტი, გული ჩიქოვანი, ვაჟა აბესაძე, ზურაბ თავაძე, კოტე მარხულია...

მშენებლები სეირნობენ, ერთობიან, ისვენებენ ბუნების წიაღში, ხვალ კი განახლებული ენერგიით ისევ შეეჭიდებიან საქმეს.

ჩვენს ხალხს მათი იმედი აქვს.

ეს მზით გარუჯული, კუნთებმაგარი ადამიანები ენგურს სულ მალე ჩააყენებენ ხალხის სამსახურში.

**ᲘᲞᲝᲚᲘᲢᲔ ᲒᲐᲛᲡᲐᲮᲣᲠᲓᲘᲐ**



მოწინავე მღებავები.

ფოტო ანზორ გოგოლაძისა.



# სტალინგრადის მიწაზე



ქანდაკება „სიკვდილზე ძლიერნი“.



მხედრული დიდების დარბაზში, მარადიული ცეცხლი გიზგიზებს.

დიდი სამამულო ომის ისტორიაში ოქროს ასოებით ჩაიწერა სტალინგრადის გმირული ეპოპეა.

სწორედ სტალინგრადი გახდა მეორე მსოფლიო ომის გარდამტეხი პუნქტი. აქ, სტალინგრადთან ჰიტლერელთა არმიის განადგურებით დასაბამი მიეცა დიდი სამამულო ომის ძირეულ შემობრუნებას და ომის ბედის ანტიჰიტლერული კოალიციის სასარგებლოდ გადაწყვეტას.

სტალინგრადის მიწას იცავდა და მტერზე გამარჯვებას სჭედდა მთელი საბჭოთა ხალხი. საყოველთაო-სახალხო გმირობის ეპოპეაში თავიანთი წვლილი შეიტანეს საქართველოს სახელოვანმა შვილებმაც. ბრძოლის ველზე დაღუპულთა სახელები უკვდავყოფილია მამაის ყორღანზე აღმართულ დიდების მუზეუმში.

უწყვეტ ნაკადად მიედინებიან ახლა გმირ ქალაქ ვოლგოგრადში ტურისტები ჩვენი სამშობლოს ყველა კუთხიდან და საზღვარგარეთის ქვეყნებიდან. მიდიან, რათა სტალინგრადის ბრძოლის გმირთა დიდებულ ძეგლთან თავი დახარონ, პატივი სცენ იმ ადამიანთა ნათელ ხსოვნას, რომლებმაც ხალხის ბედნიერებას, მათ ნათელ მომავალსა და მშვიდობას შესწირეს თავი.

მშრომელი ადამიანების გულში მარად იცოცხლებს დიდ სამამულო ომში დაღუპულ მებრძოლთა სახელები.

ფოტო რობერტ იაკობიძისა



ალსდექ, ისწრაფე, სამშობლოვ ჩემო! გაზაფხულისკენ, გაზაფხულისკენ.

ირ. ევდოშვილი

ეროვნული ბიბლიოთეკა

# რევოლუციის მგოსანი



ქართული მხატვრული ლიტერატურა ტრადიციულად მუდამ ხალხის სამსახურში იდგა. ამიტომ ჩვენი ხალხი მწერლებს ოდითგანვე თავის დამცველად და ქომაგად სთვლიდა. ილია ჭავჭავაძის ბრძნული სიტყვები:

ერის წყლული მაჩნდეს წყლულად, მეწოდეს მის ტანჯვით სული, მის ბედით და უბედობით დამედაგოს მტკიცე გული...

XIX საუკუნის ქართველი მწერლების სამოღვაწეო პროგრამა იყო.

ილიასა და აკაკის, ვაჟა-ფშაველასა და ალექსანდრე ყაზბეგის, გიორგი წერეთლისა და სხვათა მებრძოლ, რეალისტურ სკოლაში აღიზარდა ბევრი ჩვენი მწერალი, მათ შორის იროდიონ ევდოშვილი, რომელსაც XIX საუკუნის 90-ანი წლების ქართულ ლიტერატურაში საპატიო ადგილი უჭირავს.

როდესაც იროდიონ ევდოშვილი გარდაიცვალა, ცნობილი კრიტიკოსი კიტა აბაშიძე წერდა: „თუკი ევდოშვილი დღემდე იყო მისი მგოსანი, განა ახლა დაივიწყებს მას მადლიერი ხალხი? თუკი დღემდე ზეპირად ამბობდა იგი მის ლექსებს, განა ახლა შეიძულებს? თუკი დღემდე მღეროდა „წინ, წინ გასწით, მეგობრებო!“-ს, განა ეს მოწოდებისა და გამხნევების მოტივი ახლა შეეშლება? თუკი დღემდე იგი ისმენდა მომავლისაკენ იმედიან წინასწარმეტყველებას, განა ახლა დაივიწყებს მას შრომის ლაშქარი? თუკი დღემდე იასა და ვარდს უფენდა ფეხქვეშ და მისი ლექსების კითხვას ტაშიც აგვირგვინებდა, ახლა იტყვის უარს თავის მგოსანზე? ევდოშვილი მით უფრო საყვარელია ჩვენთვის, რომ მისი „ჩანგის ჟღერა“ იყო გმირული გამოძახილი. მის ჩანგს არ სჩვევია წუწუნი, ტირილი და მოთქმა. ამ მხრივ იგი ხალხის ნამდვილი შვილია“.

ირ. ევდოშვილი რევოლუციის და ქარიშხლის მგოსანი იყო. იგი თავის შემოქმედებაში: ლირიკულ ლექსებსა და მოთხრობებში, ფელეტონებსა და ნოველებში ჩაგრულ ხალხს ბრძოლისაკენ, რევოლუციისაკენ მოუწოდებდა. მისი ლექსების თითოეული სტრიქონი გაჟღენთილია მშრომელი ხალხის სიყვარულით. პოეტს სწამდა, რომ მხოლოდ ბრძოლით, დაუნდობელი და მედგარი ბრძოლით უნდა მოიპოვოს ხალხმა თავისუფლება. იგი წერდა:

...ბრძოლა იყოს ჩვენი ლხინი, სატრფიალო გულს იმედი! მაშ უშიშრათ შევებრძოლოთ ჩარხუკუღმართ ამ ჩვენ დროსა და ჩვენ რაზმს წინ წავუმძღვაროთ სიმართლის და ძმობის დროშა!

პოეტს, როგორც რევოლუციონერს, მტკიცედ სწამს, რომ ცხოვრებისგან დაბეჩავებული და წამებული ხალხი გაიმარჯვებს:

უკანასკნელად შევუტიოთ ჯალათსა, უკანასკნელად დავსცეთ თავზარი, ვაშა, ვაშა ამ ჩვენ წითელ დროშასა, გვწამს, გვეღება განთიადის კარი!

აი, პოეტის რწმენა და მომავლის იმედი: დგება განთიადის მომასწავებელი დღეები, მუშათა კლასი დაამსხვრევს ჯალათთა ბატონობას და ქვეყანაზე დამყარდება ძმობა, თანასწორობა და მეგობრობა.

პოეტს ბორკილი ადევს ფეხებზე, გზავნიან ციმბირის შორეულ ტაიგაში, იტანჯება, სული ეხუთება, მაგრამ მომავლის იმედს მაინც არ ჰკარგავს და სჯერა, რომ მშრომელი ხალხის მტანჯველები დამარცხდებიან.

მივდივარ, ბორკილს მივაჩხარუნებ, მაგრამ თან მიმდევს მასთან იმედი, მწამს საბოლოოდ, რომ ხალხს უპყრია თავისი ხვედრი, თავისი ბედი!

პოეტი როგორც განთიადსა და მზეს ისე ელოდება რევოლუციას, მოსალოდნელ ქარიშხალს. და მისი ლექსებიც ამ ქარიშხლის მაუწყებელია:

უკვე დადგა ქარიშხალი განთიადის მოციქული! აღფრთოვანებული და ფრთაშესხმული წერს პოეტი.

ირ. ევდოშვილი ხალხის წიაღში იყო დაბადებული და აღზრდილი, ამიტომ კარგად იცოდა, რა ტკივილი აწუხებდა ქვეყანას და ისიც იცოდა, რომ უბრძოლველად თავისუფლების მოპოვება შეუძლებელი იყო. ამიტომ მთელი თავისი პოეზიაც, მთელი ცხოვრებაც ნათელი მომავლისათვის ბრძოლის ინტერესს დაუმორჩილა.

სამშობლოვ ჩემო, განთიადისკენ... ასწიე ქედი, კავკასიონო,...

— მტკიცე ხმით ამბობდა პოეტი.

ირ. ევდოშვილი სამსახურში ერთ ადგილას დიდხანს არ ჩერდებოდა, ვერ ეგუებოდა ბიუროკრატიულ, სულისშემხუთველ მმართველობას და ამიტომ ჩვენ მას ხან ჯარისკაცის მუნდირში გამოწყობილ არალეგალურ მუშაკს ვხედავთ, ხან ნობილეს ნავთის სარეწებში მომუშავეს, ხან „ივერიისა“ და „კვალის“, „მოამბისა“ და „სახალხო გაზეთის“ რედაქციების თანამშრომელს. ამ გაზეთების ფურცლებზე მას ბრძოლისა და რევოლუციის იდეები შეჰქონდა.

პოეტმა გაიარა ცხოვრებისა და მოღვაწეობის მძიმე გზა.

ირ. ევდოშვილი იყო მშრომელი ხალხის პოეტი, მის ლექსებს ფაბრიკა-ქარხნებსა და ბარიკადებზე მღეროდნენ, დროშებზე აწერდნენ და ტრიბუნებიდან ამბობდნენ:

ოხ, მოვილალე, კმარა ხომალდო, ამდენ ხანს დგომა წყნარ ნავსადგურში, კმარა ლოდინი, გაშალე აფრა, ასწი იალქანს, ლუზა აუშვი.

პოეტი მოუწოდებს ძველი სამყაროს ნგრევისაკენ. მას არ უნდა „მდორე ნავსადგურში“ დიდხანს ყოფნა. დეე, ფრთა დაჰკრას ჩანგს ქარიშხალმაო, — ამბობს ერთ ლექსში.

ირ. ევდოშვილის შემოქმედება მეოცე საუკუნის დასაწყისის ქართული პოეზიის თავისებური და მნიშვნელოვანი ფურცელია. იგი ერთგულად განაგრძობდა ქართული კლასიკური რეალიზმის ღირსშესანიშნავ ტრადიციებს, რომლებიც პოეტისაგან მოითხოვდა ყოფილიყო ერთგული მებრძოლი ხალხის ინტერესებისათვის. ირ. ევდოშვილის ლექსი სადა, უაღრესად ნათელი, მუდამ უშუალო და მართალი იყო. ყრმა მაიაკოვსკი, მომავალი დიდი პოეტი, ზეპირად იმეორებდა მის ცეცხლოვან სტრიქონებს:

...მეგობრებო, წინ, წინ გასწით, ნუ შედრკება თქვენი გული, დე მკერდს სისხლის დალი აჩნდეს და შუბლს ოფლის ნაკადული!

ასე აღაგზნებდა, წინ ეძახდა იროდიონ ევდოშვილი ახალგაზრდა თაობას.

ირ. ევდოშვილის პოეზია ქართველ ხალხში უაღრესად პოპულარული იყო. ამის მიზეზი პოეტის ახალი იდეებია, რომლებიც მან თავის ლექსებში ჩააქსოვა.

კიტა აბაშიძის ენით რომ ვთქვათ, „პირადმა ტანჯვამ, მწუხარებამ და გაჭირვებამ ვერ შესცვალა მისი რკინის გული და ისე ჩავიდა საფლავში, რომ სასომიხდილად არ ამოუკვნესია. მისი უკანასკნელი სიტყვა იყო მებრძოლის სიტყვა. იროდიონ ევდოშვილი — მებრძოლი მგოსანია“.

იროდიონ ევდოშვილი რევოლუციისათვის იყო დაბადებული. უშიშარი, შეუდრეკელი, დიდი რწმენითა და იმედებით ალსავსე მგოსანი მუდამ მოწინავე მებრძოლთა რიგებში იდგა.

იროდიონ ევდოშვილი ვერ მოესწრო დიდი ოქტომბრის სოციალისტურ რევოლუციას, ერთი წლით ადრე— 1916 წელს გარდაიცვალა, მაგრამ მისი პოეზიის რევოლუციური შემართება და პათოსი დაუვიწყარია და თაობიდან თაობას გადაეცემა.

ალექსანდრე სიგუა



# მეცხვარემ ცხვარი გაშალა...



გუდერმესში არასოდეს ვყოფილვარ. ახლა თუ შემიძლია ვთქვა, ვიყავი-მეთქი? [illegible] ასიოდე კაცი პატარა სადგურის (საგარეჯოს სადგურის ხელა) მოსაცდელში და გარეთ, ბაქანზე, ათიოდე, უკლებლივ ყველა თავით ფეხებამდე ქურქში შეფუთნული... მერე ძაღლები, ბომბორა, ავი ძაღლები. კიდევ: რკინიგზის ხაზები — ორი წყვილი სადგურის ამ მხარეს, ორიც — იმ მხარეს. ეს კი იშვიათად მინახავს — პატარა სადგური და ამდენი ვაგონი, ამდენი რელსით დაქსელილი!

ვხედავ ღამის გუდერმესს, მაგრამ ამ რელსებს იქით, ამ ვაგონებს იქით, ამ ქურქიან გუშაგებს იქით რაღაა, არ ვიცი.

არადა, ამ სივრცეში, ამ გუდერმესში, სადღაც ახლოს, იქნებ ყურის ძირშიც, მეგულება ერთი კაიკაცი, — ჩვენებური ახალგაზრდა სპეციალისტი ჯუნი შეყილაძე, რომელიც აქ მუშაობს. უნდა მიხვიდე კაცი, გაახარო, მაგრამ ჩვენებური მისვლა-დახვედრა რაცაა, ხომ ვიცი, და თან, მატარებელი აგერ ახლა შემოვა, აგერ ახლა...

და ის ასიოდე კაცი, — უკლებლივ თითქმის ჩვენებურები: ყაზბეგლები, დუშელები, თიანელები, ჯავლები, ლენინგორელები — იფშვნეტენ თვალებს, ქურქებში ეხვევიან, წელში იმართებიან, ზურგზე იკიდებენ ჩემოდნებს და აცარიელებენ დარბაზს. სადგურში მატარებელი შემოდის.

ეს მატარებელი კოჩუბეიში ჩაგვიყვანს.

• • •

კოჩუბეი ახლოა.

კოჩუბეი — „პატარა საქართველოა"...

ღამე სასტუმროში გავათენეთ. აქ, კოჩუბეიში, მწყემსების „პრეს-ცენტრში" იყრიან თავს პირად თუ ფერმის საქმეებზე იალაღებიდან ჩამოსული მწყემსები და ვეტექიმები. ვინ ბაქოს მიდის, ვინ თბილისს, ვინ ასტრახანს, ვინ ყაზბეგს და აქვე, ვიდრე ხვალ იალაღებზე გავიდოდნენ, ათევენ ღამეს ყაზბეგიდან, თბილისიდან, ბაქოდან, ასტრახანიდან მობრუნებულნი... ცხვარში მარტოობით შებეზრებული კაცი ღამე მოსალხენად, სამუსაიფოდ, — ნუნუას, „თეთრსა" და ცოტაოდენ ხორაგს აზიდავს სასტუმროში, სხვადასხვა მხრიდან ჩამოსულ უცნობ-ნაცნობებს ჩაუსალამ-ქალამებს, — ხელცარიელნი, რა თქმა უნდა, არც ესენი იქნებიან და... ამ ხალხის გასაცნობად შორიდან ჩამოსულ კაცს კოჭი პირდაპირ ალჩუზე გიჯდება.

...დილით ყველა ერთმანეთს იცნობს.

• • •

უცხო სოფელში თუ ქალაქში ადრე დგები კაცი. ათასი უხილავი ძაფი გეზიდება გარეთ.

თავს ზემოთ ყორნების გუნდმა გადაიფრინა, მერე მეორე გუნდმა, მესამემ, მეოთხემ... ასმა, ათასმა... იდგა ერთი ყაშყაში. ზეცა მოაშავეს, მოანაღვლიანეს. არადა, არ დაილია... მწყემსებთან ჩამოსული სტუმრები: მე, ემზარ კვიტაიშვილი და გივი ჯოხაძე ვდგავართ და ველით როდის დავინახავთ ცას.

ვერ ვიტყვით, რომ თვით კოჩუბეი პირველივე დანახვით მოგვეწონოთ. რამდენიმე ათასი მეცხვარე დიდი ხანია მილიონობით ცხვარს პატრონობს ამ მხარეში, შრომობს თავგამეტებით, ქმნის საქვეყნო დოვლათს და... ღმერთი, რჯული, შეიძლებოდა მეცხვარეთა ამ ცენტრში უკეთესი პირობები ყოფილიყო ამაგდარი ადამიანებისთვის, მეტი, — ნუ დაგვაფრთხობს ეს სიტყვა, — კომფორტი! მეცხვარეს თვეში ორი-სამი დღე თუ სცალია საკოჩუბეოდ, — სხვა დროს ველზეა, ბინაშია, — მაგრამ ვის მოუბრუნდება ენა და იტყვის, რომ ამ — ორსამ დღეს მეცხვარემ აქ ყველა სიკეთე და სითბო არ უნდა იგრძნოს!

ჩვენ კი ჯერ ვერ ვხედავდით ამ სათანადო სიკეთეს.

და, ალბათ, ამიტომ გვეჩვენებოდა ეს ცა ასე ნაღვლიანი, ასე პირქუში.

• • •

მივდივართ სამმართველოში. უფროსი არაა, — ველზეა. არც მოადგილეა, — ისიც ველზეა. თავკაცი გვინდა, ვინც დაგვაკვალიანებს. ბიბლიოთეკის გამგე ჯიმშერ ლუხუტაშვილი იქით მიდგა, აქეთ მოდგა და... ცეკავშირის . სპეცვაჭრობის დირექტორი გველოდებაო.

ეს იყო პირველი სიხარული, რამაც უნებური მოწყენილობა გაგვიქრო. დირექტორმა, როგორც კი დაგვინახა, „ამათ ვის ვხედავ!" შესძახა და წამოიჭრა. გადავეხვიეთ ერთმანეთს. ჯიმშერ ლუხუტაშვილი შეცბა: ხომ იცოდით, ვისთანაც მოვდიოდით, ასე ახლობლები თუ იყავით, ვერ მითხარითო! აბა საიდან უნდა გვცოდნოდა, რომ აქ, ყიზლარის იალაღებზე, მუშაობს ვახტანგ მარსაგიშვილი — წარსულში ცნობილი სპორტსმენი, ტანვარჯიშის ოსტატი, რომელსაც თბილისიდანვე ვიცნობდით. ვახტანგი ძირით ყაზბეგელი გახლავთ, კარკუჩელი. ბალღობიდან თბილისში ცხოვრობდა და ახლა, ორმოცდათხუთმეტი წლის ვაჟკაცი, ბედმა კვლავ თავისიანებს — კარკუჩელებსა და სიონელებს, სნოელებსა და გორისციხელებს, კობელებსა და გუდამაყრელებს შეჰყარა. ახლა იგი ხუთი რაიონის მეცხვარეებს ემსახურება, ცეკავშირს კი დიდი სამსახურის გაწევა შეუძლია მეცხვარეებისთვის.

ვახტანგმა საჭირო რჩევა-დარიგებები მოგვცა და მერე ზამთრის საძოვრების მწყემსთა პარტორგანიზაციის მდივანი ჯემალ კობაიძე გაგვაცნო. ჯემალი ახალგაზრდა კაცია, ჰა და ჰა, ოცდაათისა თუ იქნება. კაბინეტი, შეიძლება ითქვას, პირობითად აქვს, — სულ ველზეა, ხან მწყემსების ბინებშია. ეს საამშენებლო ობიექტებიო, ეს ვეტპუნქტებიო, ეს მოძრავი ვეტუბნებიო, ეს კულტმომსახურებაო, ათასი საფიქრი და საზრუნავი არ ასვენებს...

— სტუმარი ღვთისაა, მობრძანდით, — გვიწვევს ჯემალი. ვერ ვატყობ, რომ ყასიდად გვეთავაზებოდეს, მაგრამ საქმეში ჩაუხედავი არც ჩვენა ვართ და არ გვინდა კაცი მოვაცდინოთ. მერე ჯემალს ვთხოვთ, გვირჩიოს ვის შევხვდეთ და სად.

— ვისაც გინდათ, იმას შეხვდით. აქ ხუთი რაიონის მწყემსები არიან, ყველასთან შეგიძლიათ ბინებში მისვლა... ისე კი, სიონელებთან აჯობებს... ველზე გასასვლელი დრო მეტი გექნებათ.

გადაწყდა. მივდივართ სიონელებთან.

• • •

„ცხორს ყველა ემტერების: ნადირი, კაცი, ამინდი — ყველა ცხორის მტერია, ყველა იმას ეტანების, — მაგითია მეცხვარე ბედშავი, ყველა ხელობის კაცს შეუძლია მოისვენოს, გადასდოს საქმე, მაგრამ მეცხვარეს კი არა... ავდარში სხვა შუშა თავს შეაფარებს და მწყემსი კი ცხვართან უნდა მოკვდეს... ღამეა და ცალი თვალი გახელილი უნდა ეჭიროს, ან ცხორი არ დაუფრთხეს, ან ნადირმა არ გაიტაცოს და ან ქურდმა... მწყემსისთვის მოსვენება არც დღეა და არც ღამე!" — ეუბნებოდა ასი წლის წინათ გამწყემსებულ თავად ალექსანდრე ყაზბეგს მისი ნამგალა სვიმონა გიგაური.

მას აქეთ, ამ ერთ საუკუნეში — მერე როგორ საუკუნეში! — ბევრი რამ შეიცვალა.

ახლა მეცხვარეებს კაცი აღარ ერჩის.

მწყემსს ნადირის დაფრთხობა არ უჭირს.

ქურდი შორს ვერ წავა.

მაგრამ მეცხვარე მუდამ გზაზეა და არა მარტო ცხვრის გადარეკვის დროს (ყაზბეგიდან ყიზლარამდე ბარე 700 ვერსია და ცხვრის გადარეკვას 20 დღე სჭირდება), არამედ, საერთოდ, მისი სამუშაო დღე ძირითადად ცისქვეშაა, ველზეა. ასეა მცხუნვარე მზეზე, ასეა თქეშ წვიმაში. აქ, ყიზლარში, თვალსაწიერზე მხოლოდ ტრამალია და ტრამალი. ხან მარტო, დილიდან საღამომდე ცხვარს უდგეხარ... ეს საქმიანობა ისევე ძნელი და მომქანცველია, როგორც უწინ იყო, სამაგიეროდ, თუ ღამე ცხვარი არ ახლტა, თუ ქარბუქმა ხელი არ შეუშალა და ცხვარ-მეცხვარე ბინაში მშვიდობით მივიდა, — კაცსაც სითბო ელის და ცხვარსაც.

სიონელებს კარგი ფარეხები აქვთ: არც შუქი აკლიათ, არც სითბო და არც ჰაერი. თვითონ მწყემსებიც კოხტა, სტანდარტულ სახლებში ცხოვრობენ. ქალაქურ რკინის საწოლებზე წვანან. მსუყე და გემრიელი ცხელი კერძიც აქვთ.

ირიჟრაჟებს და ისევ იწყება მძიმე, ათასი საზრუნავითა და ხიფათით სავსე დღე. არავინ ჩივის ამ სიძნელეებზე. პირიქით, ბერიკაცებიცა და ყმაწვილებიც რაღაც რომანტიკით, რაღაც გატაცებით, რაღაც ენით გამოუთქმელი სიყვარულით ეძალებიან თავიანთ საქმეს.

და მე უნებურად მახსენდება ჩემი მეგობრის — მწერლისა და ჟურნალისტის თამაზ ბიბილურის სიტყვები, რომლებიც მან აი აქ, ამ მწყემსებთან ყოფნის შემდეგ დაწერა:

„განა ადვილად ეჩვევა ოციოდე წლის ბიჭი სოფლისგან შორს წასვლას, დღენიადაგ ცხვარში ყოფნას? სად ვეძებოთ სათავე ყველაფრისა... რა არის დასაბამი... ტრადიცია? მოვალეობის შეგნება? ოჯახურ ბარაქაზე ფიქრი? ვაჟკაცობის სურვილი? მოდით, ვიგულისხმოთ ერთიც, მეორეც და მეათეც. ეს არ იქნება გაზვიადება. ეს არ წაართმევს ბიჭებს არც სათავისო ხასიათს, არც იმ სურვილებსა და მისწრაფებებს, ყველა ოცი წლის კაცს რომ აწვალებს ჩვენს დროში..."

• • •

ახლა ციფრების ენით ვილაპარაკოთ:

სიონელებს 24 ათასი ცხვარი ჰყავთ.

კოლმეურნეობას შარშან გეგმით 530 ცენტნერი მატყლი უნდა მიეყიდა სახელმწიფოსათვის. 610 ცენტნერი მიჰყიდეს. ერთ სულ ცხვარზე სამი კილოგრამი მატყლი მიიღეს.

გეგმით 1 870 ცენტნერი ხორცი უნდა დაემზადებინათ. დაამზადეს — 1 900 ცენტნერი.

სახელმწიფოს 1 200 ცენტნერი ხორცი მიჰყიდეს. გეგმა 1 140 ცენტნერს ითვალისწინებდა.

100 სული ნერბიდან საშუალოდ 98,2 ბატკანი შეინარჩუნეს.

ეს ურიგო მაჩვენებლები როდია.

წელს, ხუთწლედის განმსაზღვრელ წელს, კიდევ უფრო მეტის გაკეთება აქვთ გადაწყვეტილი. მწყემსებს პირის გატეხვა არ სჩვევიათ: თქვეს და შეასრულებენ კიდეც. საკვებიც არ უჭირთ, ის კი არა, თუ რომელიმე სხვა კოლმეურნეობას გაუჭირდა, ხელსაც შეაშველებენ.

• • •

...ველზე ვართ. ქარია და ჟინჟღლავს.

გარსია კვირჭიაშვილს ვეკითხები:

— არა გცივა, გარსია?

— კაცი მკვდარი ხომ არ არის, შასციოდეს... რა შამაცივებს?! — იღიმება მწყემსი.

— არც ზამთარში გცივა, კაცო?..

— თუ მინდა, შავიცივებ, თუ მინდა, არა!..

• • •

...გერმანე ლუდუშაურიც მწყემსია. ვეკითხები:

— რამდენ ცხვარს აპიროვნებენ კაცზე, გერმანე?

— კაცს გააჩნია... ზოგს ორასს არ ანდობენ, ზოგი ათასს უვლის...

— ძაღლები რატომ არ გყავს ცხვარში?

— დედა ცხვარია და არ შააშინონ...

• • •

გოგა ლუდუშაური ბრიგადირია. ოთხნი ძმანი ერთად არიან ცხვარში: თვითონ გოგა, გერმანე, ვასო — უფროსი ძმაა და ფშაველა — უმცროსი.

გოგა გვეუბნება:

— კუმაი იცი? არ იცი? ჰოდა, იქა ვდგავარ, კუმაი პირზე... წყალი გადმოვიდა ჩემს ადგილზე, ახალი ხიდი უნდა გავაკეთო... მე თვითონ უნდა გავაკეთო. ინჟინერიო? ინჟინერი სადაა! რატო არა, მე თვითონ გავაკეთებ... რამდენი შვილი მყავს? ხუთი მყავს — სამი ბალღი და ორი გოგო... არ ისწავლიან და ძალით ვასწავლი. აბა, მე რომ უსწავლელი დავრჩი, არ მეყოფა!... აბა, რაისთვის ვიწვალე...

გაჭირვება? ორმოცდათორმეტ-ორმოცდაცამეტში ძალიერ გაგვიჭირდა... ზურგით მიტარებია ბატკნები, მანქანები არ იყო... დიდი ყინვები იყო და ბევრჩი მარტუაი. ერდოჩიგან ჩავძვერი, გონჯი ლერწამი ვნახე. მოვჭერი, მივეცი და ჭამა ცხვარმა... სულ შეჭამა... თოვლი იყო იმხელა, ბაკები აღარ ჩანდა. ცხვარი კილამ სულ მთლად დაგვიწყდა. ჩვენც კილამ დავწყდით. ვიყოჩაღეთ და გადავრჩით...

• • •

— გოროდიდან რომ მოვდიოდით... — აგრძელებს გოგა.

— გოროდი რა ქართულია, კაცო?

— მა რა უნდა ვთქვა?..

— ქალაქი [illegible], არ იცოდე, მაინცა...

— სტუმარო, ქალაქი თბილისია, მე კიდევ გოროდიდან მოვდიოდი, — ორჯონიკიძიდან...

• • •

ახლა გოშა ზაქარაიშვილი (სამშენებლო მექანიზებული რაზმის უფროსი) გვიამბობს:

— ბევრი რამ არის აქ დაგეგმილი. ოცი ობიექტი უნდა აშენდეს. ვეტპუნქტები, მედპუნქტები, [illegible] მწყემსების ბინები, [illegible] სახლი... მეპროექტეები აქაურობის სპეციფიკას არ იცნობენ. ტრამალში დგას ბინა და ცენტრალურ გათბობას გეგმავენ, კანალიზაციასაც... გაგონილა?! უნდა ადგე და გადააკეთო! მუშახელი გვიჭირს. ზოგი ობიექტი კოჩუბეიდან კარგა შორსაა. ზაფხულში ქოხებს ვაგებთ მუშებისთვის, ზამთარში გვიჭირს. გადასაადგილებელი ბინები გვაკლია. თავიდან ენთუზიაზმით ეკიდები საქმეს, მერე და მერე ზოგიერთებს გული უცრუვდებათ... აი, ახლაც, ქვანახშირი ვერ მოვუტანე მუშებს. ტრანსპორტიც გვიჭირს. მაინც ვცდილობთ, არ შევრცხვეთ. ჩვენ გულის გატეხვა არ გვჩვევია, ასოცამდე კაცი ვართ, ვნახოთ, ვეცდებით... თავს არ შევირცხვენთ.

• • •

რამდენი რამაა დასაწერი: ავიცა და კარგიც.

ამ გულმართალი, მშრომელი ხალხის კიდევ უფრო ახლო გაცნობაა საჭირო.

გუჯარაულებო: — ვახტანგ, პავლე, გულივერ, ამირან, — კარგო ძმებო, ნოდარ დავითაშვილო, გიორგი პაპიაშვილო, იაგო ჭოჯურო, კოტე გელაძე — თავმჯდომარევ, არც თქვენ დამვიწყებიხართ, — სიკვდილსაც დავიწყებიხართ! მწამს, ღრმად მწამს, რომ არა ასე ხანმოკლე სტუმრად, არამედ უფრო დიდი ხნით ჩამოვლენ თქვენთან, თქვენს ჭირსა და ლხინს გაიზიარებენ, უფრო ხმამაღლა იტყვიან თქვენს სახელებსა და თქვენს სათქმელს!

• • •

„ველზე დაგვადგეს ლეკმა ურგები,
მამულო, შენ თუ არ გვეყოლები,
სხვებმა მოისხან ჩვენი ქურქები,
სხვებს დაელოდონ ჩვენი ცოლები...
იმდენი მოგცეს ღმერთმა ნამატი,
ვეღარ იტევდეს ბაკი, გომური...
გემატოს ძალა და ანდამატი,
გიმრავლოს ვაზი და მეკომური..."

ეს თქვენი ხმაა, ყიზლარს მყოფო ქართველებო — ყაზბეგლებო და დუშელებო, ფასანაურელებო და ანანურელებო, მაღაროსკაროელებო და მლეთელებო, კარკუჩელებო და სიონელებო, ჩვენო მასპინძლებო! და იმ რამდენიმე დღით რომ თქვენთან არ ვყოფილიყავით, ამ ხმას ვერ გავიგონებდით და პოეტი ემზარ კვიტაიშვილიც ასე ვერ იტყოდა თქვენს სათქმელს, იმას, რასაც თქვენ საქმით ამბობთ, ყოველდღე ამბობთ, ნამუსიანად ამბობთ.

გამარჯვებით გვყოლოთ!

ჯუმბერ თითმერია

თბილისი—კოჩუბეი

სურათზე (ზემოთ): მწყემსი ვახტანგ გუჭარაიძე. ფოტო გივი ჯოხაძისა.





ეროვნული ბიბლიოთეკა

# დარია თუ ავდარია

სახალხო მეურნეობის სხვადასხვა დარგის უფრო ეფექტური მომსახურებისათვის 1982 წელს თბილისში ჩამოყალიბდა ჰიდრომეტეოროლოგიური კომიტეტი, რომლის შემადგენლობაში შევიდა გეოფიზიკური ობსერვატორია. ასე ჩაეყარა საფუძველი საქართველოს ჰიდრომეტეოროლოგიურ სამმართველოს, რომელიც დღეს ერთ-ერთ მსხვილ სამეცნიერო-კვლევით დაწესებულებად ითვლება ჰიდროლოგია-მეტეოროლოგიის დარგში.

ჰიდრომეტეოროლოგიური სამმართველო დიდ და ნაყოფიერ მუშაობას ეწევა: იგი სახალხო მეურნეობის სხვადასხვა დარგებს დროულად აწვდის





მთავარი ინჟინერ-სინოპტიკოსი გიორგი ავალიშვილი ორმოცდახუთი წელია ამინდის ბიუროში მუშაობს. იგი ახლაც ჩვეული გულისყურით ამოწმებს ამინდის პროგნოზის რუკას.

ლოკატორი მზად არის დაკვირვებისათვის.

აეროზონდის გაშვება.





უფროსი ინჟინერ-აეროლოგი მარიამ ჯიქია საწყის ტემპერატურას აზუსტებს აეროზონდისათვის.

ფოტო თარხან არჩვაძისა.

ამინდის პროგნოზებს, ადგენს კლიმატურ მახასიათებლებს, სწავლობს ადამიანის ზემოქმედებას ბუნებაზე, იკვლევს გარემოს გაბინძურების მიზეზებს და ა. შ. სამმართველო ხელმძღვანელობს და ორგანიზაციას უწევს თბილისის ამინდის ბიუროს, ჰიდრომეტეოროლოგიურ ობსერვატორიას, რესპუბლიკის ჰიდრომეტეოროლოგიური დაკვირვებების სადგურებისა და საგუშაგოების მუშაობას.

სამმართველოში შემავალი ჰიდრომეტეოროლოგიური ობსერვატორიის ამოცანაა საქართველოს ტერიტორიაზე ჰიდრომეტეოროლოგიური დაკვირვების წარმოების ორგანიზაცია. ეს დაკვირვება თანამედროვე რთული მოწყობილობებისა და უზუსტესი აპარატურის მეოხებით ხდება. ჰიდრომეტეოროლოგიური სადგურები და საგუშაგოები დაკვირვების შედეგებს დაუყოვნებლივ გადასცემს ამინდის ბიუროს. აქვე გროვდება სხვა რესპუბლიკური პროგნოსტიკური ცენტრების ჰიდრომეტეოროლოგიური მასალები.

ამინდის ბიუროში შემოსული მასალები მეცნიერულად მუშავდება. ყოველი დეტალის, ყოველი წვრილმანის საფუძვლიანი გაანალიზების შემდეგ აქ ადგენენ ამინდის აეროსინოპტიკურ რუკებს, სხვადასხვა სახის დიაგრამებსა და გრაფიკებს.

ამინდის ბიუროში დგება ნახევარ დღეღამური, სამდღიური, პერიოდული, სეზონური, მეტეოროლოგიური, ჰიდროლოგიური და აგრომეტეოროლოგიური პროგნოზები.

თავისთავად ცხადია, ამ პროგნოზების დროულ და შეუფერხებელ გადაცემას, განსაკუთრებით მაშინ, როცა სტიქიური მოვლენებია მოსალოდნელი — დიდი პრაქტიკული და სახელმწიფოებრივი მნიშვნელობა აქვს.

სინოპტიკოსები დიდ და კეთილშობილურ საქმეს ემსახურებიან. მათ უნარზე, ცოდნაზე, თავდადებულ შრომაზე ბევრად არის დამოკიდებული ჩვენი საერთო წარმატება.

ნუნუ კუპრეიშვილი





ეროვნული
ბიბლიოთეკა

ტექნიკოსი თამარ ჭკადუა აწარმოებს აქტინომეტრულ დაკვირვებას.

ამ მძლავრი ანტენით დედამიწის თანამგზავრიდან საინტერესო ცნობებს იღებენ ამინდის პროგნოზის დასადგენად.



აქ მუშავდება ზონდიდან მიღებული მასალები.

ობსერვატორიის დირექტორი რენე ცხვიტავა და ტექნიკოსი ციური შენგელია აწარმოებენ ოზონზე დაკვირვებას.





სატელეტაიპო დარბაზში.

სერგო კლდიაშვილი

# პატარა მოთხრობები



## ჩემი ნაცნობი მიზანტროპი

—რა საჭიროა, რომ ცოცხლობს ადამიანი? რა აზრი აქვს ცხოვრებას?

ამას ხშირად ეკითხებოდა თავის თავს და სხვასაც. სიცოცხლეს ფუჭად სთვლიდა, ქადაგებდა ცხოვრების ამაოებას და არსებობის უაზრობას. სიკვდილი ნეტარებად მიაჩნდა, თვითმკვლელობა კი გმირობად.

ახალგაზრდობამ განვლო, შუახანიც გადავიდა, ახლა საკმაოდ ხანშესულია და მაინც ისევ წუწუნებს ცხოვრებაზე, ისევ ამაოებათ მიაჩნია და სწყევლის გაჩენის დღეს...

ეს ყველაფერი ასე იყო, მაგრამ მთელი თავისი ხანგრძლივი სიცოცხლის მანძილზე მაინც დიდად დახარბებული გახლდათ ყველაფერზე: უყვარდა გემრიელი სადილ-ვახშამი, ზაფხულობით პირველი მიდიოდა აგარაკზე და უკანასკნელი ბრუნდებოდა იქიდან, სულ იმისი შიში ჰქონდა, ვაი თუ ავად გავხდეო, იმარაგებდა ნაირ-ნაირ წამლებს, ფხვნილებს, ტაბლეტებს და ერთ თერმომეტრს რომ არ ენდობოდა, ერთსა და იმავე დროს ორივე იღლიაში იჩრიდა სიცხის საზომს.

ეს ჩემი ნაცნობი მიზანტროპი, ალბათ, თქვენც არაერთხელ გინახავთ. დიახ, სწორედ ის მოქალაქეა, პროსპექტზე რომ სეირნობს ხოლმე... ძალიან თავაზიანად მოგესალმებათ და მაშინვე შემოგჩივლებთ, რომ ბოლო წლებში ძალიან დაცხრა მზე, ცას გახუნებული ფერი დაედო და რომ სულ მალე მოსალოდნელია მსოფლიო კატასტროფა...

ამას იტყვის და დაატანს:

— რა ბედნიერება იქნებოდა, უცბადვე რომ ამომხდებოდეს სული!

ის მზადაა კიდევ დიდხანს ილაპარაკოს არსებობის უაზრობაზე. იმდენს ილაყბებს, რომ, მართლაც, კინაღამ შეგზარდებათ თავისი თავი.

მაგრამ მე ერთი საიდუმლო ვიცი, როგორ მოიცილოთ ის: უთხარით, რომ ამა და ამ აფთიაქში იყიდება ახალი უცხოური პრეპარატი, რომელიც დიდად ახანგრძლივებს ადამიანის სიცოცხლეს... გაიგონებს თუ არა ამას, ელვის სისწრაფით მოგშორდებათ და სწრაფი ნაბიჯით გასწევს სასწაულთმომქმედი ტაბლეტების საყიდლად.



## ცეროდენა დესპოტი

მაყვალას, ჩემ ცეროდენა გოგონას, ერთი ახირებული ზნე აქვს: არ დაიძინებს, სანამ ზღაპარს არ მოისმენს. ეს კიდევ არაფერი, მოითხოვს, რომ ყოველთვის ახალ-ახალი ვუამბო.

ყველაზე უფრო ერთი რამ მაშინებს: თუ ზღაპრის დასაწყისი არ მოეწონა, მაშინვე შემაჩერებს — ეგ არ მინდა, სხვა მიამბეო... მე გეტყვი და, დაარწმუნებ, რომ ამბავი თანდათან გაიშლება და მისთვის საინტერესო იქნება! არავითარ შეკამათებას არ ითმენს, მზე ნუღარ გაბედავს აღმოსავლეთიდან ამოსვლას!

აი ახლაც, ჩაიფუთნა თუ არა საწოლში, მიხმო და მომთხოვა: აბა, დაიწყეო!

ვაჟკაცი ხარ და უარს ეტყვი! დიდ გასაჭირში კი ვარ, ზღაპრების მარაგი შემომელია და არ ვიცი, რა მოვუთხრო...

მეზობელ ოთახში უეცრად ტელევიზორი ახმაურდა. გადმოსცემენ ვერდის ოპერა „აიდას".

— გინდა გიამბო რას მღერიან? — ვეკითხები მაყვალას.

საბედნიეროდ, თანხმობა ინება.

გავმხნევდი, სული მოვითქვი და ვუამბობ ოპერის შინაარსს.

ერთხანს გულდასმით მისმენს, ხანდახან თვალები ელულება, მაგრამ ძილს ებრძვის და მაიძულებს განვაგრძო მოყოლა.

ბოლოს მაინც ერევა ძილი და მოულოდნელად მეკითხება:

— ჯერ არ გათავდება ოპერა?

— რადამესს ცოცხლად დამარხავენ, მასთან მიწისქვეშ მივა აიდა, იქ ორივენი ერთად იტყვიან სიმღერას, ამის შემდეგ კი მოკვდებიან და ოპერაც მაშინ დამთავრდება...

ერთ წუთს კიდევ უსმენს მაყვალა, მერე თვალებს ხუჭავს და ლუღლუღებს:

— მამიკო, მე ძილი მინდა. ჩასძახე მათ, რომ მალე მოკვდნენ...

ტელევიზორი გამოვთიშე.

პატარა დესპოტსაც მაშინვე ტკბილად ჩაეძინა.

ვასილ ცონევი

ბულგარელი მწერალი

# რედაქტორი

ერთმა ახალგაზრდა მწერალმა მოთხრობა მიიტანა რედაქციაში.

— გთხოვთ წაიკითხოთ, — უთხრა მორიდებით რედაქტორს და ხელნაწერი მაგიდაზე დაუდო. — ვფიქრობ, ამ თემაზე ჯერ ჩვენში არავის არაფერი დაუწერია.

რედაქტორს გაეღიმა. მოთხრობა წაიკითხა.

— ბიჭოს! — თქვა მან. — შენ მართალი ხარ! და მაინც მოდი, ამანაც წაიკითხოს. — მან მოთხრობა თავის მოადგილეს გადასცა.

რედაქტორის მოადგილემ წაიკითხა მოთხრობა და აღტაცება ვერ დამალა.

— მშვენივრად არის დაწერილი, რაც მთავარია, ამ თემაზე არაფერი დაწერილა!

— დარწმუნებული ხართ? — ჰკითხა რედაქტორმა.

— სრულიად! — მიუგო მოადგილემ.

რედაქტორმა მოთხრობა ახლა პასუხისმგებელ მდივანს გადასცა.

მდივანმა წაიკითხა მოთხრობა, მოიწონა, — ამ თემაზე ხომ ჩვენთან არაფერი დაბეჭდილაო, და ლიტმუშაკს გადასცა.

ლიტმუშაკმა წაიკითხა მოთხრობა.

— ჩინებულია! მოთხრობის ღირსება ის არის, რომ ამ თემაზე ჯერ არავის, არასოდეს არაფერი დაუწერია, — თქვა მან.

— დარწმუნებული ხართ? — ჰკითხა რედაქტორმა.

— დიახ. სრულიად.

რედაქტორმა არც აცხელა, არც აცივა და მოთხრობა ავტორს დაუბრუნა.

— მშვენივრად არის დაწერილი, — უთხრა მან მწერალს, — მაგრამ, სამწუხაროდ, ჯერ ამ თემაზე არავის არაფერი დაუწერია და მეც თავს ვიკავებ.

თარგმნა შოთა ამირანაშვილმა.



საზეიმო თბილისი. ფოტო
თარხან არჩვაძისა.

# წიგნის მხატვრები



ლადო გრიგოლია. ვახტანგ ჯავახაძე. „ლექსები“.



ჯემალ ლოლუა. მარკ ტვენი. „ტომ სოიერის თავგადასავალი“.



დავით დუნდუა. ალ. საჯაია. „რჩეული“.



თეიმურაზ ყუბანეიშვილი. ვაჟა-ფშაველა. „გველის მჭამელი“.



ლეონარდო შენგელია. ვ. კუხელმეისტერი. „რაც უფრო მეტს უყურებ ცას, მით უფრო მეტ ვარსკვლავებს ხედავ“.

ზურაბ კაპანაძე. ზღაპარი. „ბერიკაობა“.



ოთარ ჯიშკარიანი. ქართული ხალხური ზღაპარი. „უქნარა“.



გაიანე თაყაიშვილი. ნიკო ლორთქიფანიძე. „მოთხრობები“.

სპარტაკ ცინცაძე. სერიიდან „ქართველი მწერლები ხუთწლედის მხარდამხარ“.

გურამ ლლონტი. გ. აუგუსტინი. „ანტონელა და თოვლის ბაბუა“



ინა დივნაგორცევა-გრიგოლია. თ. შტომი. „ნოველები“.



უკანასკნელ წლებში საგრძნობლად გაიზარდა, დაიხვეწა და მაღალ პროფესიონალურ დონეზე ავიდა ქართული წიგნის გაფორმების კულტურა, ამაღლდა მისი პოლიგრაფიული შესრულების დონე.

მხატვრებმა, რომელთა ზოგიერთ ნამუშევარს დღეს ვაქვეყნებთ, მოწოდებად გაიხადეს წიგნისადმი სამსახური, თავიანთი შემოქმედების მთავარ მიმართულებად აქციეს მისი მხატვრული გაფორმების საქმე. ბევრი მათგანი ღრმად ჩასწვდა წიგნის გაფორმების საიდუმლოებას და არა ერთი და ორი შესანიშნავი ნამუშევრით ესთეტიური სიამოვნება მიანიჭა მკითხველს.

ყოველი კარგად გაფორმებული წიგნი მხატვრისა და მწერლის მჭიდრო შემოქმედებითი თანამშრომლობის შედეგია.

ნატიფმა, დეკორატიულმა ყდებმა, სტილიზებულად დახვეწილმა ილუსტრაციებმა ხელი შეუწყეს ამა თუ იმ წიგნის გამარჯვებას, მკითხველი აზიარეს უშრეტი ფანტაზიისა და ცხოვრებისეული სიმართლის მშვენიერ სამყაროს.



დეია ჯაბუა. „მსოფლიოს ხალხთა ზღაპრები“.







ჯიბო ყაველაშვილი. ზღაპარი. „ოქროსტარიანი ცული“.



ლორეტა შენგელია. ოტია იოსელიანი. „ჩქარი მატარებელი“.



ეროვნული
ბიბლიოთეკა

თბილისის ხედები. ფოტო ანზორ გოგოლაძისა.







# ლექსები

## კოლაუ ნადირაძე

### რად ჩამესახე?

კიდევ არ ჩანხარ და უკვე სულში
შენ იწყებ მძლავრად ამოძრავებას.
მართმევ სიმშვიდეს და მყუდროებას,
მაგრამ შენს ღვთიურ მოახლოვებას
მაინც შევხარი და ჩემ გულს ვუშლი!

ჯერ არ შობილხარ და უკვე სულში,
ისე, ვით პურის მარცვალი ხნულში,
შენ იწყებ გაშლას, აღმოცენებას...
მანიჭებ წუთებს მწვავეს და ნეტარს
და, როგორც თასით შხამსა და ნექტარს,
მაწვდი ტკივილს და ბედნიერებას.

რად ჩამესახე? თავს რად მევლები?
ჩემს ხალხს საყვარელს შევმატებ რამეს?
ეგებ ფუჭია დაღვრა ცრემლების,
თითების მტვრევით ნათევი ღამე,
დიადი განცდით განათებული
და ჯადოსნურად შეერთებული
დიდი ტანჯვა და დიდი სიამე?!

არ ვიცი, მაგრამ ასევე, ალბათ,
განიცდის დედა სიხარულს ჭარბად
როცა მუცელში ბავშვის შერხევას
იგრძნობს პირველად,
როს საკვირველად
მას შეეცვლება იერი სახის,
და ბედნიერი,
რატომღაც მორცხვად
თვალებს ძირს დახრის!..

### რა რიგ ახლო ხარ!

დავუგდოთ ყური შტოების შრიალს
შიშველ შტოების შფოთვას და ტკივილს.
ფოთლების ცვენას ესოდენ გვიანს,
მათ სასიკვდილო ფერხულში ტრიალს,
და ბელურების სევდიან ჩივილს...

ეს შემოდგომის ლოცვები არის!
ეს სიმღერაა დაბურულ მთვარის!
ეს ხომ ზაფხულმა ჩაკეტა კარი!
ეს ხომ ჩვენა ვართ! ეს ხომ ჩვენ გვცივა!
ჩვენს ირგვლივ მხოლოდ ფოთლების ცვივა,
ეგ ხომ ორთავეს გვიყვარს და... გვტკივა,
ო, უნაზესო!!!
რა რიგ ახლო ხარ,
ო, რა რიგ ახლო!
გული, თუ იქნებ, სული შეგახო?!
წვიმის ისრები მიწას ჩაესო.
მკვდარი ფოთლების ცვენაა ხშირი...
რად მეკითხები, თუ რატომ ვტირი,
უსაყვარლესო?!

## არნო ონელი

### ერთი ტირიფი რიონის პირას

1.

რა კარგი იყო, რა მოხდენილი!

ტოტები ჰქონდა გადმოფენილი
პატარ-პატარა მწვანე აფრებად,
ნიავის ხმაზე ფრთებს ისწორებდა,
თითქოს უნდაო სადღაც გაფრენა.

სულ ლხინი იყო მისი ცხოვრება,
ჰქონია დავაც დიდ ქარტეხილთან,
ამ შემართებამ დაუცხრომელმა
ვით აღამაღლა, ნეტავ გეხილათ!

იმ მშვენიერს ზნე სჭირდა ასეთი:
სძულდა მწუხრი და უდაბურება,
და დიად ფიქრთა სიკისკასეთი
მას რიჟრაჟი და მზე აპურებდა.

2.

და ჰა, გავიდა წელი სამოცი!

ახლა აცვია მას სხვა სამოსი,
არც ის ფერი აქვს, არც ის იერი,
ვერც ის გაექცა წყეულ სიბერეს
და გაებზარა სული ძლიერი.

წინანდელ ჯავარს ველარ იფერებს,
ველარ ულიმის ვარსკვლავებს ცაზე,
მხოლოდ სიზმარში ისმენს სიმღერებს,
ყრმობიდანვე რომ უყვარდა ასე.

აღსავსეს სიბრძნე-სიდარბაისლით
რიონის ზვირთნი ჰიმნს უმღერიან...

ცის დასალიერს ხატავს დაისი,
სადაც მეუფე ბინდის ფერია.

### მთაწმინდის პანთეონი

მუდამ მაკრთობდა მისი ნახვა. მაგრამ ამჯერად,
როცა ნაირფერ ფოთოლცვენის მოვხვდი წვიმაში,
სულ სხვანაირმა იდუმალმა ხმამ გამაჩერა...
და თავს ვხრი დაბლა სწორუპოვარ გმირთა წინაშე.

ერთ დროს ისინი განსაცდლისგან ერს იფარავდნენ,
სიმტკიცე ჰქონდათ, ვით ციხე-კოშკს შეუვალობა,
ახლა კი სძინავთ, მშვიდად სძინავთ ძილით მარადით.
მხოლოდ მოისმის დუმილიდან უხმო გალობა.
ო, ეს დუმილი...

### წინსვლას უმღერიან მგოსნები

ვინ იცის ისე სიჩუმის მოსმენა
ან მთვარიანში ფიქრი და ოცნება,
როგორც ეს იციან მგოსნებმა.

ვინ იცის ისე და იმფერად
სიტყვა და სიმღერა,
სიტყვა და სიმღერა,
გაბრწყინებული სულში ლოცვებად,
როგორც ეს იციან მგოსნებმა.

ვინ იცის ისე რით სუნთქავს ყვავილი,
სათნოების ხმით ცამდე აყვანილი,
დასაბამიდან რომ იქება და იკოცნება,
როგორც ეს იციან მგოსნებმა.

ისინი ილწვიან სულის სამკობლად,
რამდენ ხმას მოისმენ, იმდენს გაოცებს,
საყვარელ სამშობლოს, საყვარელ სამშობლოს
წინსვლას უმღერიან მგოსნები.

## კაპიტონ ნემსაძე

### მთაო კავკასიონისა

მთაო კავკასიონისა, აზიდულო ცამდე,
ამიყვანე შენს მწვერვალზე, სიყვარულის მწადე,
მინდა ჩემი სამშობლოს მზე უფრო ახლო მწვავდეს.
გორგასალის ნამუხლარზე ვიდგე წლიდან-წლამდე,
საქართველოს სადიდებელს, სადღეგრძელოს ვსვამდე,
ვსვამდე, აღარ იცლებოდეს სულის ამოსვლამდე!

### დედას

შენ მე დამითმე ეს ქვეყანა და სიხარული
და მფარველობდი ვით თავის ბარტყს მთების არწივი.
მარგუნე ბედი სიხარულის და სიყვარულის,
ზეალტაცების, ღელვის, ბრძოლის და თავგანწირვის.
შენ მიანდერძე უსაყვარლეს შენსა მემკვიდრეს
ქველაზე მცირე, სანატრელი ავლადიდება;
ჩემს ამ ქონებას, ამ საგანძურს ხელს ვერ მოკიდებს
მტარვალის ძალა და არც ცეცხლი წაეკიდება...
სახელს უტკბილესს, უახლოესს ვით გულისძგერას
კვლავაც მომასმენს განსაცდელში შენი ხსენება,
ვერ დაგაკავებს გარდუვალი ბჭე ბედისწერის,
აღსასრულის ჟამს მე ვიხილავ შენს მოჩვენებას.

### მთის მდინარე

თავპირს იმტრევდა მდინარე კლდეზე
ჰყრიდა კალმახებს ალმასებივით,
გადმომდგარიყვნენ ყვავილნი სერზე
პირდაბანილი ლამაზებივით.

— გიჟო მდინარევ, სად მიიჩქარი,
რად ემგვანები ჩვენ დღეთა სრბოლას,
დრო და დრო მაინც ჩადგება ქარი,
მიჰბაძე იმ მთებს, ნისლებით მბოლავს!

— არ შემიძლია დავიგვიანო,
პაემანი მაქვს ძირს საქმიანი,
მელოდებიან ელსადგურებიც,
მთა-ბარი მოვრწყო ბარაქიანი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ეშმაკი





**როდიონ ქორქია** (ფოლკლორიდან)

ერთხელ ღმერთი და ეშმაკი წაიჩხუბნენ. ეშმაკმა უთხრა:

— ეგ რა სამართალია, როცა ყველაფერი კარგი შენია და ყველაფერი ცუდი ჩემი? მოდი და ხელახლა გავიყოთ ქვეყანა!

— თანახმა ვარ, — უპასუხა ღმერთმა, — აირჩიე რა გინდა: წყლისა თუ მიწისა?

ეშმაკმა იფიქრა, იფიქრა და უცბად ვერ გადაწყვიტა. ირჩიოს წყლისა: მოდი და სდიე თევზს წყალში! ირჩიოს მიწისა: მოდი და სდიე ნადირს ტყეში! უცებ თვალი მოჰკრა ნაყოფით დახუნძლულ ხეს. გაუხარდა, ვჭამ და ვჭამ უდარდელად, უშრომელად ვიცხოვრებო.

— აი, ეს ხე ჩემი იყოს! — უთხრა ეშმაკმა ღმერთს.

— თანახმა ვარ! — უპასუხა ღმერთმა, — მოთხარე და წაიღე, ოღონდ იცოდე: პირობა პირობაა — ხე შენია, მიწა ჩემი.

ამოთხარა ეშმაკმა მიწიდან ხე, გაიდო მხარზე და გაუდგა გზას. მიდის, მოწყვეტს ნაყოფს და შეჭამს. ისევ მიდის, ისევ მოწყვეტს და შეჭამს. ასე იარა დიდხანს. ბოლოს დაიღალა, ჩამოიღო მხრიდან ხე და მიწაზე დადო. შეისვენა.

— ა პა, პა, არ შეიძლება! — დაუძახა ღმერთმა, — მიწა ჩემია. აიღე ხე.

რა ჰქნას ეშმაკმა? პირობა პირობა იყო. აიღო ხე, გაიდო მხარზე და გასწია. მიდის, მიდის. დაიღალა. ჩამოიღო მხრიდან ხე და ფესვებით მიწაზე დადო, რომ ცოტა ადგილი დაეკავებინა.

— ა პა, პა, არ შეიძლება! — დაუძახა ღმერთმა. მიწა ჩემია.

რა ჰქნას ეშმაკმა? აიღო ხე, გაიდო მხარზე და გასწია. მიდის, მიდის. დაიღალა. ჩამოიღო მხრიდან ხე და მეორე ხეზე ჩამოსდო.

— ა პა, პა, არ შეიძლება! — დაუძახა ღმერთმა. — მეორე ხე ხომ მიწაზე დგას? აიღე შენი ხე! პირობა პირობაა!

— არ ყოფილა საშველი! — გაბრაზდა ეშმაკი და დააგდო ხე...

დამარცხდა ეშმაკი. რა ეგონა, უშრომლად უნდოდა ცხოვრება?!.

# გუნდრუკი

დასაბამიდან ასე იყო: ღმერთს ყველა აქებდა, ყველა ადიდებდა, ყველა უკმევდა გუნდრუკს. ღმერთს მოსწონდა ეს. იჯდა თავისთვის ცაში და დაჰყურებდა ქვეყანას. ეგონა ყველაფერი რიგზეაო.

ერთხელ, სად იყო და სად არა, ეშმაკი გამოეცხადა და უთხრა: მართლა ყველაფერი რიგზეა ქვეყანაზე? ანდა შენ გგონია, გულით გადიდებენ? აბა, ჩადი ქვეყნად და ნახე რა ამბავია!

— აჰ, შე წყეულო, — შეუტია ღმერთმა ეშმაკს, — ყოველთვის შენ უნდა გამიფუჭო ხასიათი. დამეკარგე აქედან!

ეშმაკი გაქრა, ღმერთი ჩაფიქრდა. ვინ იცის, ეგებ მართალია ეგ წყეული?! ზოგჯერ მტერსაც უნდა მოუსმინო.

მიიღო ღმერთმა ჩვეულებრივი კაცის სახე, ტანთ გადაიცვა და ქვეყნად ჩამოვიდა.

მიდის ღმერთი გზად. ერთი ქოხიდან ქალის წყევლა მოესმა.

— ჰოი, შენ დაგწყევლოს ღმერთმა! რძე რომ ამოგილოკავს, რა ვასვა ბავშვებს?

ღმერთმა მიიხედა ქოხისკენ და დაინახა: ქალი ჯოხით მისდევდა კატას.

— ჰმ... რა საქმე მაქვს მე კატასთან? — ჩაეცინა ღმერთს, — მე მაგისი არსებობაც არ გამიგონია!

განაგრძო გზა. მიდის ღმერთი და ათვალიერებს ქვეყანას. ხედავს: მოდის თოფიანი კაცი და ქამარზე ლამაზი ხოხბები ჰკიდია. ბევრი, ბევრი ხოხობი. მიადგა თოფიანი კაცი ერთ ჭიშკარს და გასძახა ცოლს:

— უყურე, რამდენი ხოხობი დავხოცე! მადლობა ღმერთს, ერთი ტყვია არ დამიცდენია!

— ოჰ! მე რა შუაში ვარ?! — ეწყინა ღმერთს. — განა მე ვუთხარი, ამდენი ხოხობი დაეხოცა? სიხარბემ ზომა არ იცის. ხარბი ადამიანი წინ არ იხედება.

განაგრძო ღმერთმა გზა. ხედავს: ერთი კალოს გვერდით გლეხი დგას და თავის ბედს წყევლის. იქვე მისი ცოლი დგას დაღონებული.

— გლეხიკაცის გაჩენაში ღმერთი არ ურევია! აბა, რა ცხოვრებაა ეს? მე ვშრომობ — სხვას მიაქვს. მე ვიტანჯები — სხვა იცინის. მემამულეს — ღალა, ხუცესს — დრამა, გზირს — ფოსტის ფული... რამდენს გაუძლოს ამ საცოდავმა კალომ? განა სამართალია, ჩემს ზურგზე მალაყს რომ გადადიან? ღმერთმა ასე გააჩინაო... არა, ბატონო, სხვისი რა ვიცი, და ჩემს გაჩენაში ღმერთი არ ურევია.









ალექსანდრე წუწუნავა
ვალერიან გუნია
მსახიობთა ჯგუფი
იუზა ზარდალიშვილი



ალექსანდრე წუწუნავა
და მიხეილ ქორელი

## ჩვენი იუბილარები

— ღმერთს ნუ სცოდავ! — უთხრა ქალმა კაცს, — მან უკეთ იცის!

— იცის კი არა!.. — ჩაიქნია ხელი კაცმა, — ამდენი უსამართლობა რომ ხდება ქვეყანაზე, ვერა ხედავს?! ზის ცაში და ფეხებზე ჰკიდია ეს ქვეყანა... არც ასე შეიძლება!..

— რა ამბები ყოფილა ქვეყანაზე! მე კი არ ვიცოდი, — გაბრაზდა ღმერთი, — ჩემს ანგელოზებს არაფერი უთქვამთ. მიმალავდნენ სიმართლეს.

— რას იზამ? ღმერთს მოთმინება უყვარს! — ამშვიდებდა ცოლი ქმარს.

— იმას კი უყვარს, მაგრამ ერთი მე მკითხოს!— აუწია კაცმა ხმას, — აივსო მოთმინების ფიალა. მეტი არ შემიძლია!

და კაცმა ფიწალი მოიქნია.

შეეშინდა ღმერთს. ამ კაცმა არ დამინახოს და არ დამკრასო. სასწრაფოდ გაშორდა სოფელს და ცაში აფრინდა.

აფრინდა ცაში. გაიხადა ტანზე, მიიღო თავისი სახე და ანგელოზებს დაუძახა:

„მე თქვენ გაჩვენებთ სეირს“! — ფიქრობდა გულში გაბრაზებული ღმერთი.

შემოიკრიბნენ ანგელოზები. მოვიდა მთავარანგელოზიც. მოვიდნენ სერაფიმები, ქერუბინები. თაყვანი სცეს ღმერთს, დააყენეს გუნდრუკის სურნელება, დაიწყეს ტკბილი ხმით ლაღადი:

— დიდება შენდა, უფალო, სამართლიანო!
— დიდება შენდა, უფალო, ყოვლად შემძლეო!
— დიდება შენდა, უფალო, ყოვლის მცოდნეო!
— უყურე ამ მამაძაღლებს! — გაიფიქრა ღმერთმა გულში. — როგორ მაქებენ! როგორ მადიდებენ!.. რა უსინდისოდ მატყუებენ!.. მე მაგათ!..

მაგრამ ისეთი დამათრობელი იყო სურნელება გუნდრუკისა, ისეთი ტკბილი იყო ლაღადისი დიდებისა, რომ მოლბა ღმერთის გული და უსიზმროდ ჩაეძინა...

ეხლაც სძინავს...

აბა, გუნდრუკი ღმერთზეც მოქმედებს!..

სახელოვნად გაიარა სიცოცხლის რვ ათეული წელი, ლიტერატურული მუშაობისა და საზოგადოებრივი მოღვაწეობის ნახევარსაუკუნოვანი გზა. მწერალმა თავისი მშვენიერი ნაწარმოებებით, მხურვალე პატრიოტიზმით, მრავალრიცხოვანი მკითხველის სიყვარული დაიმსახურა.

დიდია როდიონ ქორქიას ღვაწლი ქართული საბჭოთა ბელეტრისტიკის, კერძოდ კი, საბავშვო პროზის განვითარებაში. მისი მოთხრობა „მარილის აკვანი“ და დიდი ლენინისადმი მიძღვნილი მოთხრობები ქართული საბავშვო ლიტერატურის შენაძენია.

როდიონ ქორქიამ ქართულად აამეტყველა ნიკოლოზ ოსტროვსკის საქვეყნოდ ცნობილი რომანი „როგორ იწრთობოდა ფოლადი“, კარგი ქართულით თარგმნა რუსი და უცხოელი მწერლების სხვა ნაწარმოებები და ამითაც დიდი სამსახური გაუწია ქართულ კულტურას.



# როდიონ ქორქია 80

ჟურნალ „დროშის“ რედაქცია დიდხანს სიცოცხლეს, ჯანმრთელობას და ახალ-ახალ შემოქმედებითს წარმატებებს უსურვებს ღვაწლმოსილ მწერალსა და მოქალაქეს როდიონ ქორქიას.



ვასო აბაშიძე



იაკობ ნიკოლაძე

ცნობილ საბჭოთა ხელოვანს, კინემატოგრაფიის გამოჩენილ მოღვაწეს, ქართული კინოს ერთ-ერთ ფუძემდებელს, სსრ კავშირის სახალხო არტისტს მიხეილ ჭიაურელს დაბადების ოთხმოცი წელი შეუსრულდა, რომელთაგან სამოცდახუთი ხელოვნებასა და ხალხის სამსახურს მოახმარა.

დიდია ის ღვაწლი და ამაგი, რომელიც მიხეილ ჭიაურელმა დასდო ქართულ საბჭოთა კინემატოგრაფიას. მისმა ფილმებმა საყოველთაო აღიარება ჰპოვა.

დღეს ოთხმოცი წლის მიხეილ ჭიაურელი ჯან-ღონით სავსეა. მომავლისათვის მას ბევრი შემოქმედებითი გეგმები დაუსახავს. ჟურნალ „დროშის“ რედაქცია ულოცავს გამოჩენილ ხელოვანს დაბადების 80 წლისთავს, უსურვებს დღეგრძელობას და ახალ შემოქმედებითს გამარჯვებებს.

მიხეილ ჭიაურელი მარტო კინორეჟისორი როდია, იგი მხატვარი, მოქანდაკე და კარიკატურისტიც არის. ქვემოთ ვაქვეყნებთ ხელოვნის მიერ შესრულებულ კარიკატურებს, რომლებიც ჩვენს ჟურნალ-გაზეთებში სხვადასხვა დროს დაიბეჭდა.



იოსებ გრიშაშვილი

# მიხეილ ჭიაურელი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქაისინ ქულიევი
ყაბარდო-ბალყარეთის სახალხო პოეტი

# მე სვანეთისკენ მივდივარ ისევ

მე სვანეთისკენ მივდივარ ისევ,
გზა მთებს მოვერცხლილ ნაყშად ევლება,
მოგონებათა რძისფერი ნისლი
თანამგზავრივით ამედევნება.
ცის სილურჯეში, მწვერვალთა თავზე,
მოგონებები ქქრიან ნებივრად,
წინ მიმიძღვიან სვანეთის გზაზე,
წყალში დახტიან კალმახებივით.
გზის პირს დაღლილი ჩამოვჯექ ქვაზე,
აქედან მთელი ქვეყანა მოჩანს,
სხივჩაღვრილ მთათა ფერდობებს დავცქერ,
ქვეყნის გზებსა და სიცოცხლეს ვლოცავ.
ჩემო ყველა გზავ, დარჩებით ჩემად,
თქვენ სხვებს არ გავხართ,
ერთმანეთს ხომ არ გვანან დღენი,
ამ მწვერვალიდან მე ყველას გხედავთ,
ცხოვრების კარი შევაღე თქვენით.
სვანეთს მივდივარ, მზით ეს გზაც მავსებს,
აქ უამრავი ლეგენდებია,
ავსებენ ხევებს, წვებიან მთაზე,
ცაში ღრუბლებად შედედდებიან.
იქნებ ეს იყოს მოგონებანი,
რომ ვერ ივიწყებს გული მგზნებარი.
ან თქმულებები ამ მთებისა, მაღლები ყოვლად,
ანდა ღრუბელი ამ ლურჯი ცის ზღვაში დაცურავს,
ეგებ ხევების შრიალია, ან ბრწყინვა თოვლის,
დასასვენებლად ზაფხულში რომ მთებზე ახულა...
ჰოი, ამ მთათა თქმულებებო, ჩემთვის ყველაზე
ძვირფასები ხართ: მამაცები ცხოვრობენ თქვენში,
კლდეთა სიმშვიდე სუნთქავს თქვენში, ცოცხლდება თქვენში
მოგონებები მშობელი მიწის.
ჩემთვის ყველაზე ძვირფასები ხართ.
მივდივარ [illegible]ებში.
მე სვანეთისკენ მივდივარ ისევ,
ყველა მეგობარს სიყვარულით ვიგონებ ახლა,
სვანეთს მივდივარ და ვლოცავ ისევ
ყველა გზას, რასაც ჩვენ მივყავართ სულ წინ და მაღლა.

თარგმნა
თეიმურაზ ჯანგულაშვილმა.

# გამოიცა იტალიაში




სულ უფრო და უფრო იზრდება უცხოეთში ინტერესი ქართული კულტურისადმი. ამის ნათელი დადასტურებაა მილანის პოლიტექნიკური ინსტიტუტის არქიტექტურის განყოფილებისა და გ. ჩუბინაშვილის სახელობის ქართული ხელოვნების ისტორიის ინსტიტუტის თანამშრომლობა. 1971, 72, 78 წლებში იტალიელი მეცნიერები ეწვივნენ საქართველოს, გაეცნენ ქართულ ხელოვნებას.

დამკვიდრებული ტრადიციის თანახმად, ქალაქ რავენაში ყოველწლიურად ეწყობა ბიზანტიური და რავენული ხელოვნებისა და კულტურის ძეგლებისადმი მიძღვნილი საერთაშორისო კურსების მეცადინეობები. თემატიკა მოიცავს მონათესავე ხელოვნებათა წრესაც.

შარშან მარტში აქ გაიმართა საერთაშორისო კურსების მორიგი მეოცე მეცადინეობა. მეცადინეობაზე ქართულ ხელოვნებას შვიდი ლექცია მიეძღვნა.

საქართველოდან კურსებზე მიწვეული იყო გ. ჩუბინაშვილის სახელობის ქართული ხელოვნების ისტორიის ინსტიტუტის დირექტორი, აკადემიკოსი ვახტანგ ბერიძე.

ვახტანგ ბერიძემ თავის ლექციაში — „ადრექრისტიანული ხანის ძეგლები საქართველოში (IV-VII საუკუნეები)", ჩვეული სიღრმითა და ფართო ერუდიციით გააცნო მსმენელებს ამ პერიოდის ქართული ხელოვნების მნიშვნელობა ქრისტიანული აღმოსავლეთის კულტურის შესწავლაში. შემდგომ ლექციაში ვ. ბერიძემ კონკრეტულად განიხილა ამ საუკუნეთა ხუროთმოძღვრების თვალსაჩინო ნიმუშები — ბოლნისი, ჯვარი, წრომი, მათი დეტალური ანალიზით მსმენელთათვის ნათელყო ის დიდი როლი, რომელიც შეასრულა საქართველომ ქრისტიანული აღმოსავლეთის კულტურის განვითარებაში.

მილანის პოლიტექნიკური ინსტიტუტის პროფესორმა ადრიანო ალპაგო ნოველინომ წაიკითხა ლექციები: „სვანეთის არქიტექტურა", „ვარძია".

ფრანგმა მეცნიერმა ნიკოლ ტიერიმ მსმენელებს გააცნო შუასაუკუნეების ქართული მხატვრობა, დაწვრილებით მიმოიხილა ყინწვისის, ლიხნის, მარტვილის, შიო მღვიმისა და სხვა მონასტრების მხატვრობა.

თემისადმი ორიგინალური მიდგომით ხასიათდებოდა ტურინის ხელოვნების ისტორიის ინსტიტუტის დირექტორის, პროფესორ პაოლო ვერძონეს ლექცია თემაზე: „ქართული და რომანული ხუროთმოძღვრება". აქ ავტორმა განიხილა ქართული ხელოვნების საუცხოო ნიმუშები: მცხეთის სვეტიცხოველი, ქუთაისის კათედრალი, ალავერდი, ნიკორწმინდა და სხვ.

იგივე პაოლო ვერძონე ავტორია ლექციისა — „შუასაუკუნეების ქართული მინანქრები". შესავალში ავტორი პატივისცემით იხსენიებს ბიზანტიური ხელოვნების გამოჩენილ რუს მკვლევარს ნ. კონდაკოვს და დაწვრილებით ლაპარაკობს 1892 წ. რუსულ, ფრანგულ და გერმანულ ენებზე გამოცემულ მის წიგნზე, რომელშიც შეტანილი იყო ქართული მინანქრების მიმოხილვაც. ქართული მინანქრები მანამდე სრულიად უცნობი გახლდათ დასავლეთ ევროპის მკვლევართათვის. ამ ნაშრომის საშუალებით უცხოეთში ცნობილი გახდა, რაოდენ მაღალ დონეზე იდგა ჩვენთან შუასაუკუნეებში საიუველირო ხელოვნება და მინანქრების წარმოება. ამას ისიც დაემატა, რომ 1968 წ. მილანში იტალიურ ენაზე გამოვიდა აკად. შ. ამირანაშვილის მეტად საინტერესო წიგნი „ქართული მინანქარი", რამაც იტალიელებს, კერძოდ, პაოლო ვერძონესაც დიდი სამსახური გაუწია ამ საკითხის შესწავლაში.



კურსებზე წაკითხული ლექციები იტალიაში ცალკე წიგნად გამოიცა. კრებულის სათაურია „რავენული და ბიზანტიური ხელოვნების XX კურსი". იგი მაღალ პოლიგრაფიულ დონეზეა დაბეჭდილი, უხვად არის ილუსტრირებული.

* * *

აკად. გ. ჩუბინაშვილის სახელობის ქართული ხელოვნების ისტორიის ინსტიტუტში, ამ წიგნთან ერთად, იტალიელმა კოლეგებმა გამოგზავნეს მილანში იტალიურ ენაზე გამოცემული ქართული ხუროთმოძღვრების ბიბლიოგრაფია. იგი 1970 წლიდან ქართული შუასაუკუნეების ხუროთმოძღვრებაზე მილანის პოლიტექნიკური ინსტიტუტის არქიტექტურის განყოფილების მუშაობის კონკრეტული შედეგია.

ბიბლიოგრაფია დალაგებულია ანბანის მიხედვით, მასში დაცულია ავტორთა შრომების ქრონოლოგია. ქართველი ავტორების გვერდით წარმოდგენილნი არიან უცხოელებიც. გამოცემის რედაქტორები: ვახტანგ ბერიძე, ადრიანო ალპაგო ნოველინო, ფ. ბიანკი.

ბიბლიოგრაფია მნიშვნელოვანი შენაძენია იტალიელი მკვლევართათვის, განსაკუთრებით კავკასიის არქიტექტურაზე მომუშავე მეცნიერთათვის. იგი ნათელ სურათს იძლევა ერთი მხრივ ე. წ. ბიზანტიური ვრცელი სამყაროს (ანუ ქრისტიანული აღმოსავლეთის ძეგლებისა) და მეორე მხრივ — საქართველოს და დასავლეთ ევროპის შუასაუკუნეების ხელოვნებათა ურთიერთკავშირზე.

აღნიშნული ბიბლიოგრაფიის გამოცემაში იტალიელ კოლეგებს დიდი სამსახური გაუწია ქართველი მეცნიერის თ. ბარნაველის მიერ ქართული კულტურის ძეგლებზე შედგენილმა ბიბლიოგრაფიამ, რომელიც 1941-1968 წლებს მოიცავს. შესავალ წერილში ადრიანო ალპაგო ნოველინო საგანგებოდ აღნიშნავს ამას, მადლობას უხდის ქართველ მეცნიერს და კმაყოფილებით აღნიშნავს მილანის პოლიტექნიკური ინსტიტუტისა და გ. ჩუბინაშვილის სახელობის ქართული ხელოვნების ისტორიის ინსტიტუტის ამ სასურველ თანამეგობრობას. მომავალში იტალიელ კოლეგებს განზრახული აქვთ არქიტექტურის ფაკულტეტზე ჩამოაყალიბონ კავკასიის არქიტექტურის შესწავლის ცენტრი. ეს ითვალისწინებს სპეციალიზებული ბიბლიოთეკის შექმნას კულტურის და ხელოვნების საკითხებზე, ფოტოარქივის ფოტომასალებითა და ნახაზებით შევსებას, რაც უდავოდ შეუწყობს ხელს უცხოეთში კავკასიის არქიტექტურის შესწავლასა და პოპულარიზაციას.

ზაირა სტურუა

ბიბლიოგრაფიის ყდა. ნიკორწმინდის დეტალი. (ფოტო)
სურათზე: პროფ. ვ. ბერიძე ლექციას კითხულობს ტურინის პოლიტექნიკურ ინსტიტუტში.

[illegible]ირად უკითხავთ, ხომ ვერ გვ[illegible]ავთ, რომელი ეპიზოდი უფრო ნათლად შემორჩა მეხსიერებას გავლილი საფეხბურთო ბატალიებიდან?..

გასახსენებელი ძალზე ბევრია, თითქმის ყოველ მატჩში იყო რაღაც ისეთი, რომელიც შემდეგ აღარ გამეორებულა. მოსაყოლი, როგორც მწერლისათვის, საკმაო მაქვს. მაგრამ ამჯერად მკითხველს არც ულამაზეს გოლზე და არც რთულ ტაქტიკურ ჩანაფიქრსა თუ კომბინაციაზე არ მოვუთხრობ...



ამას წინათ ძველი მეგობარი და თანაგუნდელი ალექსანდრე დოროხოვი მოვინახულე საავადმყოფოში. პალატის კარებში გამოჩენისთანავე შურამ ისეთი გულიანი ხარხარი ატეხა, ცოტა არ იყოს, შევცბი კიდეც...

— რა იყო, შურა, რა გაცინებს?!

— იცი, რა გამახსენდა?

— აბა, რა ვიცი.

— რა და, სტალინოში ადგილობრივ „სტახანოვეცთან" გამართული მატჩი...

შურასი არ იყოს, ის შეხვედრა ახლაც კარგად მახსოვს და რატომ, სწორედ ამაზე მსურს ქვემოთ მოგითხროთ.

მართალია, კლასით ეს გუნდი საუკეთესოთა რიცხვს არ განეკუთვნებოდა, მაგრამ შინ თამაშისას ისე ავდებოდა, რომ მისი დაოკება იოლი საქმე როდი გახლდათ. მასპინძლებს არც ამჯერად დაუკლიათ ცდა, მაგრამ ანგარიში ჩვენ წავიყვანეთ — 2:1.

შეხვედრის მეორე ნახევარში გულშემატკივართა შეძახილები ერთ გაბმულ გუგუნად გადაიქცა. ამაში იყო საკუთარი გუნდის გამხნევება, მხარდაჭერა და, რაც მთავარია, მოთხოვნა — რადაც არ უნდა დაჯდომოდათ, გაეთანაბრებინათ ანგარიში.

განსაკუთრებით მძიმე გამოდგა ჩვენთვის თამაშის ბოლო წუთები. მდგომარეობის სახსნელად ვცდილობთ ტემპის შენელებას. დაახლოებით მოედნის ცენტრში მივიღე ბურთი, ყველასათვის მოულოდნელად, ნაცვლად კარისა, კუთხურისკენ მივრბივარ. მოწინააღმდეგეთაგან მაინცდამაინც არავის შეუშლია ხელი; ალბათ, იფიქრეს, დაბნეულობისაგან ორიენტაციის უნარი თუ დაკარგაო. ამასობაში ალმამდე მივაღწიე და ბურთი მის ტართან გავაჩერე. მცველმა დამაცადა, იქნებ შემობრუნდესო, ხოლო როცა დარწმუნდა, განძრევას არ ვაპირებდი, ბურთის წართმევა დამიპირა, მაგრამ როგორ? ბოლოს ისღა მოახერხა, კუთხურზე გადაეგდო. საჭირო წამები მოგებულია. მაგრამ ეს როდი შველის საქმეს. ცოტაც და, ალბათ, მშვიდობიანად დავაღწევთ თავს გასაჭირს. მსაჯი მაჩქარებს... დინჯად ვეძებ ადგილს ბურთის გასაჩერებლად. საგულდაგულოდ უკან დავიხიე. სტალინოელი ფეხბურთელები საჯარიმოზე იკავებენ ადგილს. აბა, ვის შეეპარება ეჭვი, რომ ამ სამზადისს ძლიერი დარტყმა არ მოჰყვება. მე კი ვითომდა შემთხვევით, მოქნეულ ფეხს ალმის ტარს ვურტყამ, იმ ანგარიშით, რომ არეკვლის შემდეგ ოდნავ ბურთსაც შეეხოს. ბურთი ორიოდე ნაბიჯზე გაგორდა და გაჩერდა. ვიდრე მოწინააღმდეგე რაიმე გადაწყვეტილებას მიიღებდა, მსაჯის საფინალო სასტვენიც გაისმა.

გასახდელისკენ მიმავალი მასპინძლები უკმაყოფილოდ ბუზღუნებდნენ, ერთი ნახე, როგორ გაგვაცურა[illegible]რაო.

* * *

ლენინგრადის „დინამოსთან" თამაშის დროს სამმა მცველმა მიმიმწყვდია გვერდით ხაზთან. თავის დაღწევა შეუძლებელია. მდგომარეობის სახსნელად ასეთ გადაწყვეტილებას ვიღებ — ადგილზე მკვეთრი მოძრაობის შემდეგ ხელს მოწინააღმდეგის საჯარიმოსკენ ვიშვერ, სადაც თავისუფალი კორიდორია და ვიქტორ პანიუკოვს ვუყვირი: ვიქტორ, მიიღე გადაცემა! ვიქტორი მოწყდა ადგილს. მას ჩემს მეურვეთაგან ორი კვალდაკვალ მიჰყვა, მე კი ამასობაში მშვიდობიანად დავაღწიე თავი „ტყვეობას" და მოწინააღმდეგის კარისკენ დავიძარი.

ᲒᲐᲘᲝᲖ ᲯᲔᲯᲔᲚᲐᲕᲐ
ᲒᲕᲘᲐᲛᲑᲝᲑᲡ

# შეხვედრა საზღვარზე

მაისი იწურებოდა. შეღამებას არაფერი უკლდა. სოფლის განაპირა სახლს ორი ცხენოსანი მიუახლოვდა. მესაზღვრეები იყვნენ. ეზოში შინაურულად შევიდნენ.

— მასპინძელო! — დაიძახა ერთმა.

სახლის კარმა გაიჭრიალა და სტუმრებს ჭაღარა, ჯერ ისევ მაგარი კაცი გამოეგება, მესაზღვრე ოფიცრები გადაკოცნა, თუმცა ერთს პირველად ხედავდა, მერე — ცხენები, ა, ამ ხეზე მიაბითო, ურჩია და კრამიტით დახურულ ფიცრულ სახლთან ახლოს აღმართულ ხეზე მიუთითა.

ცოტა რომ გაიარა, თითქოს რაღაც გაახსენდაო, დაუმატა:

— ისე, იცოდეთ, ამის უფლებას მხოლოდ განსაკუთრებით ძვირფას სტუმრებს ვაძლევ. ეს ჩემთვის მარტო ხე კი არა, მთელი სიცოცხლეა...

* * *

უნაყოფო და უჩრდილო ხე იყო. ქართველი კაცი ასეთ ხეს იშვიათად დარგავს სახლთან ახლოს. მესაზღვრეებმა თვალი შეავლეს ხეს და მხრები აიჩეჩეს.

მერე, ვახშამზე, სიტყვამ მოიტანა და მასპინძლისგან ამ ხის ამბავი მოისმინეს.

* * *

ხეზე მიკრულ რიზალ გაბაიძეს სუნთქვა უჭირს. ქლოშინებს. ირგვლივ ტყეა, უღრანი ტყე. ბნელა.

„დავიღუპე, ნამდვილად დავიღუპე".

ცივმა ოფლმა დაასხა, მთელი სხეული დაეძაგრა.

„თოკს ვერ გავწყვეტ, ძალზე მსხვილია და მაგარი. კბილებითაც ვერ მივწვდები, თორემ გადავკვნეტდი. ნადირმა სუნი რომ იცეს, აქვე გამგლეჯს... რაც ქვეყანაზე კოღოა, ყველა მე მესევა, თუ რაა..."

კაცი აქეთ გადაქანდა, იქით გადაქანდა: „იქნებ მოვიშორო ეს კოღოები, იქნებ მოვიშორო".

რიზალთან ერთად ხეც აქეთ-იქით ირწევა.

ეს თითქმის უაზრობა იყო, მაგრამ კაცს იმედის ნაპერწკალმა გაუელვა. ხის ამოგლეჯის იმედი ჩაესახა გულში. ფეხსაც ვერ ინაცვლებდა, მაგრამ მარჯვნივ და მარცხნივ, მარჯვნივ და მარცხნივ, მერე წინ და უკან, წინ და უკან, ათჯერ და ასჯერ, ათჯერ და ასჯერ არყია ხე და აჯაჯგურა. ოფლში გაიღვარა, ლამის გული საბუდედან ამოუვარდა, მაგრამ ხელებგათოკილ კაცს რა შეეძლო.

* * *

თავის დღე და მოსწრება რიზალ გაბაიძე მიწას ებრძოდა — ცოლ-შვილს რჩენა არ უნდა?! ბაღლი ხუთი ჰყავს. ღამე კანტორაში ყარაულად მუშაობს. დილით ორ-სამ საათს წაუძინებს და მინდორში მირბის სამუშაოდ. მარჯვე კაცია. ახლაც საპირველმაისო სოციალისტურ შეჯიბრებაში გაიმარჯვა და კოლმეურნეობამ ფასიანი საჩუქრით დააჯილდოვა. გუშინაც მუშაობდა — მთელი დღე თიბავდა ფერდობზე. ისე დაღამდა, არც უგრძვნია. სოფლამდე კი კარგა შორია. გვიან დაადგა ნაცნობ ბილიკს. ამ გზაზე ყოველ ბუჩქს, ყოველ ქვას იცნობს.

ბუჩქებიდან ფაჩუნი მოესმა. არა, ნადირი არ იყო, კაცის სიახლოვე იგრძნო.

„ჩვენები იქნებიან, ალბათ, მესაზღვრეები".

პირდაპირ იქითკენ წავიდა და შორიდანვე შეუძახა:

— მე ვარ, გაბაიძე!

ბუჩქიდან ოთხი კაცი გამოვარდა. ეცნენ, წამის უმალ პირში ჩვარი ჩასჩარეს, ხელები გაუთოკეს, ზურგზე ტომარასავით მოიგდეს და ტყის სიღრმეს მისცეს თავი.

„ალბათ, ახალბედა მესაზღვრეები არიან და ვერ მიცნეს. მივალთ, ბატონო, იქ და ხომ მნახავთ, ვინცა ვარ".

შეჩერდნენ. პირიდან ჩვარი გამოუღეს, რიზალმა შეხედა უცნობებს და მიხვდა, რომ კაი ხალხის ხელში არ იყო. წახდა კაცი, აილეწა, თვალთ დაუბნელდა.

გაჩხრიკეს. საძებარი ბევრი არაფერი იყო. ჯიბიდან პასპორტი ამოაცალეს, — სასაზღვრო ზონის მცხოვრებლებს ხომ პასპორტი მუდამ თან დააქვთ.

— გაბაიძე რიზალი შერიფის ძე, 1912 წელს დაბადებული. ჯერ ქართულად წაიკითხეს, მერე — რუსულად.

— მოხარული ვარ, რომ გაგიცანით, — დაცინვით მიესალმა პირბალნიანი, ის, რომელმაც წეღან გაჩხრიკა.

— მჭადი ხომ არა გაქვს? — ჰკითხა მეორემ.

ამ კითხვამ გაბაიძე გულის სიღრმეში ოდნავ დაამშვიდა.

„შიათ, შიათ".

— როგორ არა, ერთ საათში მჭადსაც გამოგიცხობთ და ცხელ ლობიოსაც მოგართმევთ, აქვე ვცხოვრობ, ახლოს.

მაშინვე მიხვდა, რომ ძალზე სწრაფად უპასუხა და ამით შეაეჭვა უცნობები.

თურქულად დაუწყეს ლაპარაკი. რიზალმა მხრები აიჩეჩა, აქაოდა, თურქულისა არაფერი გამეგებაო. თანდათან ცხადი გახდა მისთვის: ეს ოთხეული საზღვრის გადმოლახვისთანავე შეუნიშნავთ მესაზღვრეებს და უკანვე გაბრუნება განუზრახავთ, მაგრამ გზა დაბნევიათ, საგზალიც გათავებიათ და რა ქნან, არ იციან.

ერთმა, ვისაც უფროსობა ეტყობოდა, რიზალს უბრძანა:

— უმოკლესი გზით გაგვიყვანე „ს"-ის მთაზე, მერე ისე მოიქეცი, როგორც ჭკუამ გირჩიოს: გინდა ჩვენ გამოგვყევი, გინდა დარჩი... თუ გინდა, მერე მესაზღვრეებთან მიირბინე და უთხარი, ჯაშუშები საზღვრისკენ წავიდნენ-თქო, იქნებ მედალიც დაიკიდო. დროს ნუ ვკარგავთ, მიდი, ჰე, განთიადისას ადგილზე უნდა ვიყოთ!

რიზალი აფეთქდა:

— არ მეკითხებით, თანახმა ვარ თუ არა?

კონტრაბანდისტების თუ ჯაშუშების მეთაური გამწარდა:

— მუხტარი თუ გაგიგონია, შე უბედურო, შენა! — მუქარით ჩაეკითხა გაბაიძეს.

მუხტარის ხსენებაზე გაბაიძეს სისხლი გაეყინა და თმა ყალყზე დაუდგა...

* * *

...მარჯვნივ და მარცხნივ, მარჯვნივ და მარცხნივ — ას-ასჯერ, მერე წინ და უკან, წინ და უკან — ისევ ასასჯერ... კაცი და ხე ერთად ირწეოდნენ; შეისვენებდა რიზალი და ისევ ამოძრავდებოდა, ისევ თავგანწირვით ცდილობდა მიწიდან ხის ძირფესვიანად ამოგდებას.

* * *

ახლომახლო სასაზღვრო სოფლებში მუხტარის სახელით მამაკაცებსაც კი აშინებდნენ. წყევლაც იცოდნენ ასეთი: „შენს ეზოში მუხტარმა იაროს". სახელმწიფო საზღვარს მუხტარი ხშირად არღვევდა. თავდაპირველად კონტრაბანდისტობდა. მერე ჯაშუში გახდა, დივერსიებსაც აწყობდა. ვერა და ვერ მოიხელთეს. ღამ-ღამობით გაბაიძეს ხშირად სმენია ავტომატებისა და მაუზერების გამაყრუებელი ჯერი, ხელყუმბარების აფეთქების ხმა... მუხტარმა და მისმა დამქაშებმა სიცოცხლეს გამოასალმეს 19 წლის ალიომა სედრაკიანი, 20 წლის ავთანდილ ბოლქვაძე, 21 წლის ივანე ვასიუხინი...

მოსახლეობა ხელს უწყობდა მესაზღვრეებს მუხტარის შეპყრობაში, მაგრამ ამაოდ. ორ-სამჯერ მისი ადგილსამყოფელი რომ გასცეს, საბოლოოდ დაკარგა ერთმორწმუნე მუსულმანებისადმი ნდობა და მაღალმთიან ზონაში მცხოვრებ აჭარლებს დაემუქრა: არ დაგინდობთ, თქვენს სისხლს დავლევო. მუქარის შესრულება რამდენჯერმე შეძლო კიდეც.

* * *

ჩემი საქმე გათავებულიაო, რაკი ამაში დარწმუნდა, რიზალი მოულოდნელად დამშვიდდა. ეს მუხტარმაც შეატყო, მაგრამ ამ სიმშვიდის მიზეზი ვერ გაიგო.

— იცი რა გელის? — ჰკითხა მუხტარმა.

— ვიცი, სიკვდილი მელის, სხვა რა უნდა მელოდეს, — მშვიდადვე მიუგო გაბაიძემ.

— სიკვდილსაც გააჩნია...

— ერთი რამ მამშვიდებს... — გააწყვეტინა გაბაიძემ, — ერთი კაცი ორჯერ არავის მოუკლავს...

— შენ შეგიძლია გადარჩე...

— ეგ გამორიცხულია.

— იქით რომ გამოგვყვე?

— მინ ხუთი შვილი და ფეხმძიმე ცოლი მელოდება.

— შენგან ბევრი არაფერი გვინდა. საიმედო გზით „ს"-ის მთაზე გაგვიყვანე. თუ გზაში მესაზღვრეები შეგვხვდნენ, შენ ხელებშეკრული იქნები, გნახავენ და მიხვდებიან, რომ ძალით მიგვყავდი, თუ არ გნახეს, მით უკეთესი... თანაც, აი, ამ ქისაში ბაჯაღლო ოქროა... არ მოგწყინდა ამდენი შრომა?!

ყველაფერი უცბად მოხდა.

რიზალმა ქისისაკენ ხელი გაიწოდა:

— თანახმა ვარ, მოიტა!

— აქ რად გინდა? — ვერ მიუხვდა მუხტარი.

— ვაითუ მესაზღვრეები შემხვდნენ, ოქრო რომ მინახონ, ხომ დავიღუპე კაცი. ჯობს ქისა აქვე, ბუჩქის ძირას დავმარხო...

— ეს გლეხი უფრო საზრიანია, ვიდრე მეგონა. — თურქულად ჩაულაპარაკა მუხტარმა თავისიანებს...

რიზალიმ ქვა აგდო და თავი შეუშვირა:

— ან აქ მომცემთ, ან თქვენი მეგზური არ გავხდები.

ქისა მის ფეხებთან დავარდა.

* * *

...წინ რიზალი მიდის, უკან — ბანდიტები მისდევენ... ახლა მესაზღვრეებმა რომ ნახონ, რა ქნას, როგორ დაუმტკიცოს სიმართლე? ხშირად ჩერდება, არემარეს აყურადებს. ოდნავ ფაჩუნზეც კი მიწას ეკვრება. ჯაშუშებიც ასევე იქცევიან. უხშირა და უხშირა რიზალმა მიწაზე გართხმას. მუხტარმა შეუკურთხა.

— თუ საიქიოს მიეჩქარება, გზა დამილოცნია! — ცივად მიუგო გაბაიძემ.

შემოათენდათ. გაბაიძე ჩამოჯდა. ბანდიტებმაც შეისვენეს.

— საღამომდე აქ დავრჩებით, გზას მხოლოდ ბნელში განვაგრძობთ, — თქვა გაბაიძემ.

მუხტარმა აიჩემა, დღისით სიარული უფრო ადვილია და გზასაც უკეთ მოვნახავთო, მაგრამ რიზალი ჯიუტად იმეორებდა:

— დღისით სიარული ადვილი კია, მაგრამ საშიშია.

რიზალი მთელი დღე ხელ-ფეხშეკრული ჰყავდათ, დაღამებას ელოდნენ. დაღამდა და თოკი შეუხსნეს.

— რატომ გყავდით შეკრული? ნუთუ არ მენდობით? — ახლაღა ჰკითხა რიზალმა.

— სიფრთხილეს თავი არა სტკივა...

ხუთი კაცი გზას უნდა გასდგომოდა. ოთხი ჩქარობდა, ერთი ფეხს ითრევდა.

— ჯერ ადრეა, ბარემ კარგად ჩამობნელდეს, — ამშვიდებდა ჯაშუშებს გაბაიძე.

მუხტარმა ბრძანა: წყალ-წყალ ვიაროთო. რიზალი ჰკვდავა: ხიდზე გავიდეთ, ამ ყინულივით წყალში რა ეკატოპინებს. ნაანთებარი ვარ, წყალში ვერ შევალო.

ზურგით გაიყვანეს.

მოულოდნელად მუხტარი ერთ ადგილზე შეჩერდა:

— ეს ხომ ის მთა არ არის, ჩვენ რომ გვინდა?! — მერე მუხტარი რიზალისაკენ შემობრუნდა, ყელში გამეტებით წაუჭირა ხელები და თვალებჩასისხლიანებულმა შეჰყვირა: — მოგვატყუა ამ ღორმა!..

* * *

მერე დიდხანს არაფერი ახსოვს.

მუხტარი თითქოს ლმობიერიც კი აღმოჩნდა რიზალის მიმართ. მაგრამ [illegible] მხოლოდ ერთი [illegible] სანდა ასე. ცოცხალ-მკვდარი კაცი ხეს მიაკრეს, დატოვეს უღრან, უკაცრიელ ტყეში. მშიერ-მწყურვალი [illegible] რეს წყაროსთან, რომ [illegible] წყლის ჩუხჩუხით გაგიჟებულიყო.

მერე? მერე, ალბათ, ან შიმშილი მოუღებდა ბოლოს, ანდა ნადირის კერძი გახდებოდა.

* * *

ხეზე მიკრული რიზალი ისევ ითქვამს სულს.

ხეს მიწაში მაგრად გაუდგია ფესვები. იმედის ნაპერწკალი კი მაინც ღვივის გულში.

ასჯერ მარცხნივ და ასჯერ მარჯვნივ, ასჯერ წინ და ასჯერ უკან, ისევ და ისევ, ისევ და ისევ.

წამება დიდხანს გრძელდება.

ბოლოს მაინც ამოთხარა რიზალი გაბაიძემ ის ხე. მიბორკილი ფეხები ძლივს-ძლივს აიშვა, ხელები კი უწინდებურად ხეზე ჰქონდა მიკრული, მერე დაიძრა კაცი და მასთან ერთად დაიძრა ხეც, კაცი და ხე, ხე და კაცი წამოვიდნენ სოფლისკენ.

* * *

რის ვაი-ვაგლახით აათავეს კაცმა და ხემ აღმართი. კაცმა ტაფობში, სასაზღვრო საგუშაგოს გაკაშკაშებული შენობა დაინახა.

რიზალმა პაროლი რომ ვერ უთხრა, ჯარისკაცმა იარაღი მოუღერა. ხეაკიდებულმა კაცმა გუშაგს რამდენჯერმე გაუმეორა.

— ნაჩალნიკ, კომენდანტ, ბანდიტ!..

მესაზღვრემ ვერაფერი გაიგო:

— შენ, ეი, უფროსებს რად მილანძღავ!

— ნაჩალნიკ, კომენდანტ, ბანდიტ! — გაუმეორა რიზალმა და დაუმატა: — მუხტარ, ტამ, ტამ! — მერე აყვირდა და თან „ს"-ის მთისაკენ გიჟივით აქნევდა თავს.

* * *

მერე მოსახდენი მოხდა... ბანდას ძაღლებით დაედევნენ ჩვენი მესაზღვრეები. ჯაშუშებს ბოლო მოუღეს.

* * *

დარჩენილმა მესაზღვრეებმა გაბაიძეს ხელები შეუხსნეს. იმ ხის გადაგდება უნდოდათ, მაგრამ რიზალმა არ დაანება.

ახლა ის ხე რიზალი გაბაიძის ეზოში დგას, ზედ სახლთან. ასეთ ხეს იშვიათად რგავს ქართველი კაცი სახლთან ახლოს, მაგრამ ასეთი ამბებიც ხომ იშვიათად ხდება, იქნებ არც ხდება!

* * *

სასაზღვრო ნაწილში იმ დღეს ახალი ფურცელი შეივსო:

„22... 19... წელი, 03 საათსა და 18 წუთზე N-ის საგუშაგოზე კოლმეურნე რ. გაბაიძემ შეატყობინა..."

აი, ამ პატარა ჩანაწერმა მიგვიყვანა ჩვენ რიზალი შერიფის ძე გაბაიძესთან მაისის იმ საღამოს.

რიზალი ახლაც ისევ მხნედ და ხალისიანად გამოიყურება.

**ოთარ გუმბერიძე,**
პოდპოლკოვნიკი.



რიზალ გაბაიძე

მხატვარი ᲓᲘᲛᲘᲢᲠᲘ ᲔᲠᲘᲡᲗᲐᲕᲘ.

ᲜᲐᲛᲓᲕᲘᲚᲘ ᲐᲛᲑᲐᲕᲘ



ᲘᲚᲘᲐ ᲮᲝᲨᲢᲐᲠᲘᲐ

## ᲔᲠᲗᲘ ᲚᲔᲥᲡᲘ

აი, დავრწმუნდი მე ერთ რამეში:
მივუახლოვდი, ხელით შევეხე,
და გამიკვირდა, რომ ერთ ღამეში
შეფოთლილიყო ნაზამთრალი ხე.

ქარი თეთრ ღრუბლებს მოაგორებდა,
ფიქრიც ლამობდა ზეცაში წვდომას,
ეს გულის ფეთქვა მომაგონებდა
ასე უჩუმრად კვირტების ხვდომას.

ვიცი ოდესმე ჩაქრება სიბრძნე,
თუ მომემება სიმღერა [illegible],
უცებ შემაკრთობს, გამომაღვიძებს,
ბნელში გამინათებს თვალები [illegible].

ო, ბევრის მუზა ადრე დაობლდა,
ვნდომ, რომ [illegible] ფეხს, რაც დამავალეს,
ახლა თუ არა, მოვა თაობა
და ერთ ლექსს მაინც ლოცვად აღავლენს!

ამ წუთისოფლის დღეები მიჰქრის,
და ყველაფერი ისევ ახლდება,
ჩემი ოცნება მჭერა, არ მიკვირს,
ძალის მომცემი მუდამ ახდება.

ᲒᲣᲠᲐᲛ ᲙᲚᲓᲘᲐᲨᲕᲘᲚᲘ

## ᲔᲠᲗᲘ ᲨᲕᲘᲚᲘ — ᲐᲠᲐ ᲨᲕᲘᲚᲘ...

„ერთი შვილი — არა შვილი!" —
ბრძნულად უთქვამთ ძველებს.
და თუ მართლა გადავშენდით,
რა აღგვადგენს მერე?!

„ორი შვილი — ვითომ შვილი!" —
ესეც უთქვამთ კარგად.
და თუ მართლა გადავშენდით,
ხომ ყველაფერს ვკარგავთ?!

„სამი შვილი — ცოტა შვილი!" —
ესეც ძველებს უთქვამთ.
და თუ მართლა გადავშენდით,
ვინ გამართავს გუთანს?!

„ოთხი შვილი — დასტურ შვილი
გადაგვარჩენს მხოლოდ,
თუ გვიშველის, ეს გვიშველის!" —
დაუსკვნიათ ბოლოს...

საძებარი გამხდარიყოს
ჩვენში შვილი ერთი,
თუ ნატვრაა, ნატვრა იყოს,
და ვინატროთ მეტი!

ვინც შემხარის უტკბილესი
საქართველოს გაისს,
უნდა ჰყავდეს უმცირესი
შვიდი შვილი მაინც!

## ᲖᲝᲒᲘᲔᲠᲗᲗᲐ ᲒᲐᲡᲐᲒᲝᲜᲐᲓ

ვინ გამამართლებს,
არ ვიცი,
ვინ გამამტყუნებს,
არც — ის:
მკვდრისთვის ჯიბეებს დავცლით,
ცოცხლად არ გვახსოვს კაცი.

მოკვდება — თავზე ვევლებით,
ვურჩევთ
უკეთეს
საფლავს,
სიცოცხლეში კი ვცლევით, —
არცკი ვკითხულობთ ამბავს.

არ ვაკლებთ სიტყვას მოვერცხლილს —
პილპილმოყრილი მადლით,
მაღალო
ღმერთო,
მოგვეცი
ცოცხლის შენახვის ყადრი!..

# მეცნიერებისა და ტექნიკის სიახლენი



## საწუქი ტბის ფსკერზე

პალიასტომის ტბის ფსკერზე ქართველმა მეცნიერებმა აღმოაჩინეს ძვირფასი ბუნებრივი სასუქი — საპროპელი (გადამპალი შლამი), რომლის მარაგი ასეულ მილიონობით ტონას შეადგენს.

ტბის შლამი თავისი ხინოყივრით არა თუ ჩამოუვარდება ორგანულ სასუქებს, არამედ მთელი რიგი უპირატესობანიც აქვს.

საპროპელი პირველ რიგში გამოიყენება ისეთი ძვირფასი კულტურებისათვის, როგორიც არის: ვაზი, ჩაი, ციტრუსები...

როგორ ამოვიღოთ ტბის ფსკერიდან ბუნების ეს ძვირფასი ნობათი? სწორედ ამ საკითხის გადაჭრაზე მუშაობენ ახლა საქართველოს მიდროტექნიკისა და მელიორაციის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის თანამშრომლები.

მეცნიერებმა ბევრი რამის გაკეთება შეძლეს. პალიასტომის ტბის შლამი სულ მალე ჩადგება უხვი მოსავლის სამსახურში.

## გეოლოგების თანაშემწე

რამდენი ათეული და ასეული მეტრი სიღრმის ჭაბურღილი უნდა გაითხარონ იმისათვის, რომ მადანი აღმოვაჩინოთ?

ამ კითხვაზე გეოლოგები ახლა ასე გიპასუხებენ: არც ერთი მეტრი! ამის გარანტიას მათ ძიების ახალი—ბირთვულ-ფიზიკური მეთოდი აძლევს. ხელსაწყო „მინერალ-3"-ის გამოყენებით საძიებო სამუშაოები ბევრად გამარტივდა და გაიაფდა.

თუ გეოლოგებივარაუდობენ, რომ, ვთქვათ, სპილენძის მადანი ერთ კილომეტრზეა დედამიწის სიღრმეში, ხელსაწყოს „უკარნახებენ", სხივი მიწის გულში ჩაგზავნონ ზუსტად ამ სიღრმეზე. თუ სპილენძი მართლაც აღმოჩნდა, ხელსაწყო მაშინვე მოგვცემს სათანადო ნიშანს. ასე რომ, გულდამშვიდებით შეიძლება გათხრები დავიწყოთ: სპილენძი ადგილზე დაგვხვდება.



## ახალი პრეპარატი

დიდი ლაფნიჭამია ჩვენი ტყეების დაუძინებელი მტერია, იგი ათასობით ხეს ანადგურებს. მეცნიერები დიდხანს მუშაობდნენ ამ ვერაგი მავნებლის დასამარცხებლად.

საქართველოს ფიზიკური და ორგანული ქიმიის და მცენარეთა დაცვის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტების თანამშრომლებმა ამას წინათ შეიმუშავეს ახალი ქიმიური პრეპარატი „პლკ", რომელსაც ასხურებენ დაავადებულ მცენარეებს. ლაფნიჭამია, როდესაც ამ ემულსიის შხამი მოხვდება, მაშინვე კვდება.

ახლახან ჩვენმა მეცნიერებმა შეიმუშავეს უფრო ეფექტური და ნაკლებად ტოქსიკური პრეპარატი „გირჩა", რომელიც უახლოეს ხანში სერიულად დაინერგება წარმოებაში.

ასე რომ, ჩვენს ტყეებს ლაფნიჭამიას შიში აღარ ექნებათ, ისინი უფრო ლაღად და თავისუფლად იშრიალებენ



# ნაირ-ნაირი





## „მამაც ადამიანთა კლუბი"

ლონდონში ამჟამად არსებულ ერთ-ერთ გაერთიანებას „მამაც ადამიანთა კლუბი" ჰქვია.

კლუბის წევრების მიზანია, გააკეთონ ყველაფერი ის, რასაც ექიმები კრძალავენ.

— ჩვენ დავამტკიცებთ, — საჯაროდ აცხადებენ კლუბის წევრები,— რომ ადამიანებმა შეიძლება მშვენივრად იცხოვრონ ათასგვარი წამლების, დიეტისა და, საერთოდ, ყოველგვარი მკაცრი რეჟიმის დაცვის გარეშე.

„მამაც ადამიანთა კლუბის" თავმჯდომარე 84 წლისაა. ვიცე-თავმჯდომარე კი 82 წლის.



## წერილის სიგრძეა... 1223 მეტრი

დასავლეთგერმანელმა მოსწავლემ თომას პინაუზმა გადაწყვიტა მსოფლიო რეკორდი დაემყარებინა... გრძელი წერილის დაწერაში.

ქაღალდის უზარმაზარ რულონზე იგი ყოველ საღამოს წერდა თავისი ცხოვრების დეტალურ ამბებს.

წერილის წერა ორი წელი გაგრძელდა. მშობლებისა და დისადმი მიწერილი წერილის სიგრძემ 1223 მეტრს მიაღწია, წონამ კი 100 კილოგრამს გადააჭარბა.

თომას პინაუზმა ძველი მსოფლიო რეკორდი 103 მეტრით გააუმჯობესა.

## ისტორიული ნამცხვარი

ამას წინათ ლონდონში, კრისტის აუქციონის დარბაზში, ხანგრძლივი ვაჭრობის შემდეგ მოზრდილ თანხად გაიყიდა... ჩვეულებრივი ნამცხვრის ნაჭერი.

„სუვენირი", რომლის ხნოვანება 134 წელს აღწევდა, ბრიტანეთის დედოფლის ვიქტორიას საქორწილო ნამცხვრის ნაჭერი გახლდათ.

ეს ნაჭერი გამყიდველს უსახსოვრა თავისმა ბებიამ, რომელიც 1840 წლის 10 თებერვალს ბუკინგემის სასახლეში პირადად დაესწრო დედოფლის ქორწილს.



## კარიერის დასასრული

დასავლეთგერმანელი რეპორტიორი ვოლფ კრისტმანი დიდხანს მუშაობდა მიუნხენის ერთ-ერთ გაზეთში, რომელიც სისხლის სამართლის დანაშაულის შემთხვევებს და ამ დანაშაულთან ბრძოლის მეთოდებს აშუქებდა.

კრისტმანმა დეტალურად შეისწავლა და გაზეთში გამოაქვეყნა 20-ზე მეტი მასალა, რომლებშიც ბანკების გაძარცვის შემთხვევები იყო აღწერილი.

ამას წინათ მიუნხენის სასამართლომ ვოლფ კრისტმანს ციხეში პატიმრობა მიუსაჯა... ბანკის გატეხვის მცდელობისათვის.



## ინებეთ ჩაის ფხვნილი

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტის მიხეილ ბოკუჩავას ხელმძღვანელობით მცენარეთა ბიოქიმიის ინსტიტუტის თანამშრომლებმა აკადემიკოს ბახის სახელობის ბიოქიმიის ინსტიტუტში დაამუშავეს ხსნადი ჩაის მიღების მეთოდი.

მალე ჩვენი ქვეყნის სასურსათო მაღაზიებში გამოჩნდება ლამაზად შეფუთული ჩაის ფხვნილი. დიასახლისებს აღარ დასჭირდებათ ძვირფასი წუთების დაკარგვა ჩაის დასაყენებლად. საკმარისია ფხვნილის მცირეოდენი დოზა ჩაყაროთ ადუღებული წყლით სავსე ფინჯანში და არომატული სასმელი მზად იქნება.

ფხვნილი მიიღება ჩაის საწარმოო ნაყენის აორთქლებით.

სხვათა შორის, ეს სიახლე ეკონომიურადაც მომგებიანია. მწვანე ხსნადი ჩაის დასამზადებლად გამოიყენება შედარებით უხეში ფოთოლი, რაც დაზოგავს ხარისხოვან ფოთოლს ჩვეულებრივი ჩაის დასამზადებლად.

ამავე ინსტიტუტში შეიმუშავეს აგრეთვე ჩაისაგან ბუნებრივი საღებავების მიღების მეთოდი. შეიძლება ბევრმა არც იცის, რომ კვების პროდუქტების შესაფერადებლად იყენებენ სინთეზურ საღებავებს, რომლებიც მეცნიერებმა ადამიანის ჯანმრთელობისათვის საფრთხედ მიიჩნიეს. ასეთი საღებავების ხმარება აიკრძალა. ისინი შეიცვალა ჩაისაგან მიღებული, ადამიანისათვის უვნებელი ბუნებრივი საღებავებით.

## მიღებულია ძვირფასი კრისტალი

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მეტალურგიის ინსტიტუტში მიიღეს მსოფლიოში პირველი ალუმინის ძაფისებური კრისტალი, რომლის პრაქტიკული გამოყენება შეიძლება.

ახალი კრისტალი ჩვეულებრივი მიკროსკოპიული მასალისაგან განირჩევა მაღალი ფიზიკურ-მექანიკური და ქიმიური თვისებებით. იგი უძვირფასესი ნედლეულია ლითონის თანამედროვე შენაერთების მისაღებად.

ალუმინის ძაფისებური კრისტალი ფართოდ გამოიყენება ელექტრონული, ელექტროტექნიკური და საავიაციო მრეწველობის დარგებში,

## ახალი სახის ფოლადი

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მეტალურგიის ინსტიტუტში ხანგრძლივი მუშაობის შემდეგ მიიღეს ორი ახალი სახის ფოლადი, რომელთა გამოყენება შეიძლება როგორც ზედაბალ, ისე ჩვეულებრივ ტემპერატურის პირობებში.

ახალი ფოლადის ერთ-ერთი სახეობა ნიკელს არ შეიცავს, მაგრამ ერთნახევარჯერ უფრო მტკიცეა, ვიდრე ქრომნიკელიანი ფოლადი.



# ნაირ-ნაირი

## ბენზინი სისხლის წილ

მიმდინარე წლის დასაწყისიდან შვეციაში მკაცრად შეიზღუდა ბენზინის ლიმიტი.

ენერგეტიკული კრიზისით მოხერხებულად ისარგებლა ქალაქ ბალმეს ერთ-ერთმა საავადმყოფომ. ამ საავადმყოფოს მესვეურებმა დონორების მოსაზიდად განაცხადეს, რომ ყოველ „ულუფა" სისხლში 3 ლიტრ ბენზინს გავილებთო.

დაპირებამ გაჭრა. სისხლის მიმღებ პუნქტთან რიგები დადგა.

## რადიო, ქერი და დიუპონები

ეს ამბავი პარიზში მოხდა.

50 წლის კლოდ დიუპონმა გადაწყვიტა, რადიოს რჩევა დაეჯერებინა და ჯანმრთელობის გასაკაჟებლად დილის გამამხნევებელი ვარჯიში დაეწყო.

მეორე დილით დიუპონი და მისი ოჯახის წევრები სავარჯიშოდ მოეწყვნენ. პირველი ვარჯიში ადგილზე ხტომა იყო. ის-ის იყო დიუპონებმა, რადიოს მელოდიური მუსიკის თანხლებით, რამდენიმე ნახტომი გააკეთეს, რომ იატაკი ჩაიქცა და მოვარჯიშეები მეზობლის ოთახში ჩაცვივდნენ.

როცა დაზარალებული მეზობელი, კლოდ დიუპონი და მისი ოჯახის 15 წევრი საავადმყოფოში მიჰყავდათ, რადიომ საზეიმოდ გამოაცხადა: „მოისმინეთ გამამხნევებელი მუსიკა".





## შეელევა პელენიო პერერა ფეხბურთს?

„ჯადოქარი მწვრთნელი", როგორც ჰელენიო ჰერერას უწოდებენ ფეხბურთის სამყაროში, ამ ცოტა ხნის წინათ მოათავსეს მილანის კლინიკაში გულის ინფარქტის გამო. კრიზისი გადატანილია. იგი გამოჯანმრთელების გზაზეა დამდგარი. როგორც ელექტროკარდიოგრამამ უჩვენა, ჰელენიო ჰერერას ხანგრძლივი მკურნალობა და დასვენება ესაჭიროება.

ჰერერას მკურნალმა პროფესორმა კრავერმა განაცხადა: „ერთი ღამის სიმშვიდემ და დასვენებამ სინიორ ჰერერას ჯანმრთელობა დაუბრუნა, სიცხე დაუგდო. მწვრთნელს ყოველთვის აქვს ნერვიულობის მიზეზი. ჰერერა ინტელექტუალური პიროვნებაა და მგონი მისთვის გასაგებია შექმნილი სიტუაცია — რომ მისი ფეხბურთის ველზე გამოჩენა ყოვლად დაუშვებელია". ერთი სიტყვით, პროფესორი უკრძალავს „ფეხბურთის ჯადოქარს" სათავეში ჩაუდგეს „ინტერს", როგორც მწვრთნელი. როგორც კლინიკურმა მონაცემებმა და ელექტროკარდიოგრამებმა უჩვენა, მას გულისა და ფილტვების კორონალური დაავადება აქვს, რისთვისაც საჭიროა რეგულარულად დაიცვას რეჟიმი, რომ ავადმყოფობა უფრო შორს არ წავიდეს. ამ ავადმყოფობის გამო ჰელენიო ჰერერამ უნდა დატოვოს ფეხბურთის ველი. ფეხბურთის გულშემატკივრებს აინტერესებთ: შეელევა კი ჰერერა ფეხბურთს? დაემშვიდობება თავის საყვარელ საქმეს?

ნახატები თენგიზ სამსონაძისა.

საქ. სსრ კ. მარქსის
სახ. სახ. რესპ.

ეროვნული ბიბლიოთეკა



ნახატი თამაზ ჩაჩავასი



ნახატი თამაზ ჩაჩავასი



დიმიტრი ერისთავის



1. — კაცო, ქორწილში შიშველი მოხვედი?
— მაშ რა ვქნა, თამადამ მითხრა, თუ ღვინოს არ დალევ, კისერში ჩაგასხამო!

2. უსიტყვოდ.

3. — რამ დაგალონა?
— ბებიაჩემის ქელეხზე ისე ცოტა შესაწევარი შემოვიდა, რომ „ვოლგის" მეტი ვერაფერი ვიყიდე.

## კროსვორდი



**ჰორიზონტალურად:** 4. ყურძნის ჯიში. 7. ყვავილი. 8. ქალაქი. 9. კონტინენტი. 12. რიცხვი. 14. ქვეყანა აზიაში. 16. სასვენი ნიშანი. 18. სპირტიანი სასმელი. 19. გუმანი ანუ... 20. შელამება. 21. ლიტერატურული ნაწარმოების ჩონჩხი. 22. სახკოლო ინვენტარი. 24. ინდივიდუალური ნომერი. 25. გულმართალი ანუ... 27. დაავადების გამომწვევი მიზეზი. 29. ევროპის ძველი სახელმწიფო. 30. ხმის მიმღები. 31. ქვეყანა ევროპაში. 32. ცნობილი შეძახილი. 33. სომეხი ფეხბურთელი.

**ვერტიკალურად:** 1. ტროას ომის გმირი. 2. წონის ერთეული. 3. მსოფლიო ჩემპიონი ჭადრაკში. 5. შემრიგებელი, შემგუებელი. 6. ქვეყანა ევროპაში. 10. ლევან გოთუას ნაწარმოები. 11. მეცნიერების დარგი. 13. პირველი გამოსვლა. 15. თევზის სახეობა. 16. მითოლოგიური ქალი. 17. მცენარის ტანზე გამონაზარდი. 23. რაიმეს სარგებლობის უფლება. 24. მონათა აჯანყების მეთაური. 26. მომწამლავი ნივთიერება. 28. ეთიოპიის მეორე სახელწოდება. 29. ქართველი მწერალი ქალი.

### „დროშის" № 4-ში გამოქვეყნებული კროსვორდის პასუხი

**ჰორიზონტალურად:** 5. ფარადეი. 7. მანე. 8. ლაზო. 9. ტიციანი. 12. ჭორობი. 14. სტილი. 16. ალასკა. 18. კინოფილმი. 19. არდაზიანი. 20. კორონაცია. 21. სემანტემა. 22. დიქცია. 24. იარდი. 26. ლირიკა. 30. ორაგული. 31. რენო. 32. თალი. 33. ტორსიდა.

**ვერტიკალურად:** 1. აფექტი. 2. დაქტილი. 3. სილვიო. 4. ომბალო. 6. სონატა. 10. პოლიფონია. 11. ეკონომიკა. 13. ხაფანგი. 14. სამხილი. 15. ისრაელი. 17. ლოზუნგი. 23. ცერარი. 25 რეგრესი. 27. რუბაია. 28. რობოტი. 29. ...ლითაი.

გარეკანის პირველ და მეოთხე გვერდებზე: ლევან ცუცქირიძე. ალ. ყაზბეგი — „ხევისბერი გოჩა". შალვა ცხადაძე. ი. კანევი — „ვინ არიგებს წერილებს ტყეში". თენგიზ სამსონაძე. ვაჟა-ფშაველა — „სათაგური". გიორგი ქლიბაძე. ო. იოსელიანი—„ცაგამთენია". ზურაბ ფოჩხიძე. ბ. პრუსი — „თოჯინა". ნოდარ მალაზონია. ნ. დუმბაძე — „მე ვხედავ მზეს". თენგიზ მირზაშვილი. ვაჟა-ფშაველა — „ჯოყოლა". ცისანა ტერელაძე. „ამირანდარეჯანიანი".

გადაეცა ასაწყობად 9/IV-74 წ., ხელმოწერილია დასაბეჭდად 25/IV-74 წ., ქაღალდის ზომა $70\times108^{1}/_{8}$, ფიზიკური ნაბეჭდი ფურცელი 2,5, პირობითი ნაბეჭდი ფურცელი 3,5, სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 4,9, ტირაჟი 55.300, შეკვ. 1368, უე 01754, ფასი 30 კაპ.

Ежемесячный общественно-политический и литературно-художественный журнал «Дроша» (на грузинском языке) Издательство ЦК КП Грузии

საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა, თბილისი, ლენინის ქ. № 14.
Типография издательства ЦК КП Грузии, Тбилиси, ул. Ленина, 14.

რედაქციის მისამართი:

380008, თბილისი 8, რუსთაველის პრ. 42. ტელ. — მთ. რედაქტორის — 99-54-66, პ/მგ. მდივნის — 99-82-69, განყოფილებების — 93-28-42, 99-01-39.

რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდებათ.



სამაისო ზეიმი თბილისში. მხატვარი ზურაბ ნიჟარაძე.

ეროვნული ბიბლიოთეკა





ეროვნული
ბიბლიოთეკა





ИНДЕКС 76056